# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 19 მარტი 1996 № 21 (246) ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



## ქინქლაძე 2 საუთჰემპტონი 1

### ეს გოლი ისეთივე იყო, მექსიკაში მარადონამ ინგლისს რომ გაუტანაო...

**სიტი 2:1 საუთჰემპტონი**

29 550 მაყურებელი

სიტი: იმელი, ფრონცეკი (პაილი 75), ლომასი (ქუინი 75), კერლი, ქინქლაძე, ფლიტკროფტი, ბრაისველი, საიმონსი, სამერბი, კლაფი, როსლერი

საუთჰემპტონი: ბიზანტი, დოდი, ჰოლი, მონკო, ლეტისიე, შიპერლი, ჩარლტონი, ნილსონი (უიტსონი 55), ჰიუზი, ტისდეილი, ოკლი (რობინსონი 46)

გოლი: ქინქლაძე (32, 37); ტისდეილი

გაფრთხილება: ფლიტკროფტი, სამერბი, როსლერი, კლაფი, ჰოლი, ლეტისიე, ჩარლტონი

გაძევება: უიტსონი (89)

ვირტოუზული სპექტაკლი, გენიალური თამაში... სამ ქულას მარტო ქინქლაძე იმსახურებდა... პატარა ქართველმა, რომელიც საფეხბურთო ვარსკვლავებით ცნობილ ქალაქ მანჩესტერში აქამდეც მთავარი ფიგურა იყო, „მეინ როუდზე" შეკრებილი ხალხი სასწაულების ხილვით ალაფრთოვანა — ინგლისურმა პრესამ ქება-დიდების მარაგი „სიტი" — „საუთჰემპტონის" მატჩის შემდეგ ნამდვილად ამოწურა.

ეს იყო უპრინციპულესი შეხვედრა. „მანჩესტერ სიტი" და „საუთჰემპტონი" პრემიერლიგაში დარჩენისთვის იბრძვიან. სტუმრებმა მოზომილი, გააზრებული ფეხბურთის თამაში სცადეს, მაგრამ „სიტის", უმთავრესად კი გიორგი ქინქლაძის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყვეს. ეს ქინქლაძის დღე იყო. მე-13 წუთზე ქართველმა დეივ იუზი ჩამოიცილა და ოციოდე მეტრიდან ცაციით დაარტყა. ბურთი ზედა ძელს მოხვდა. ცოტა ხანში სამერბის დარტყმული სტუმართა მეკარემ დეივ ბიზანტიმ კუთხურზე მოიგერია. 32-ე წუთზე იგივე განმეორდა, სამერბიმ გაისროლა, ბიზანტიმ უკუაგდო, მაგრამ ბურთს ქინქლაძემ მიასწრო და ანგარიში გახსნა. ხუთ წუთში გიომ სხვაობა ორამდე გაზარდა. ეს ასე მოხდა:

— ეს გოლი ახლოს იყო იმასთან, მარადონამ მექსიკაში ინგლისს რომ გაუტანა. მე „ღვთის ხელს" არ ვგულისხმობ, მეორე გოლზე ვამბობ. ამაზე დიდებული ალარაფერი არსებობს. ზოგი კითხულობს, რატომ ჩამოგვყავთ ვილაც უცხოელები ჩვენს ქვეყანაშიო. აი რატომაც! — თქვა მატჩის შემდეგ „სიტის" მწვრთნელმა ალან ბოლმა.

გიომ საიმონ ჩარლტონს, კენ მონკოს და დეივ ჰიუზს რალაც საოცარი დიმპიტაური-დამპიტაური ჩაუტარა, მერე მეკარეც გაათგნა და ბურთი ბადეში შეაგდო.

მეორე ტაიმში „საუთჰემპტონმა" ძალა მოიკრიბა და 64-ე წუთზე პოლ ტისდეილმა ანგარიში შეცვალა. ეს ტისდეილის პირველი გოლი იყო პრემიერლიგაში.

არადა, მანამდე უვე როსლერს მესამეს შეგდება შეეძლო, მაგრამ მეკარე ბიზანტმა ივარგა.

ბოლოს სტუმრებმა შეუტიეს. „სიტის" თავდაცვა მოუხდა. ლეტისიეს პასით დოდმა ლამის შეაგდო, სულ მიწურულს კი მეტიუ რობინსონმა მართლაც გაიტანა, ოღონდ თანამსაჯმა დროში ალმართა. გოლი არ ჩაითვალა და ამით აღშფოთებულმა გორდონ უოტსონმა ისე იყვირა, მსაჯს წითელი ბარათი ამოაღებინა.

## სამტრედია 0 დინამო 0

სამტრედია: ჭანტურია, ხვადაგიანი, ლურსმანაშვილი, ჯელაძე, ფანჩულიძე, ამაშუკელი (ჩომახიძე 80), გოგიაშვილი, ხუჭუა, ტყავაძე (გვასალია 55), ძარასელია, ჩხაიძე

დინამო: ზოიძე, კალაძე, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, კობიაშვილი, კიკნაძე, ყიზილაშვილი, კერძევაძე, ანჩაბაძე, იაშვილი (გადელია 55)

გაფრთხილება: დიდავა, ამაშუკელი, კობიაშვილი

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

ძლიერი ქარი ერთთავად აქეთ-იქით აგდებდა ბურთს, რამაც თამაშს ძალიან შეუშალა ხელი. ალბათ ამიტომ მატჩი მწირი გამოდგა საგოლე მომენტების მხრივ. ყიზილაშვილის მიერ გატანილი გოლი მსაჯმა წესების დარღვევის გამო არ ჩათვალა. სამტრედიელი ხუჭუასა და თბილისელი ანჩაბაძის მეტოქეთა საჯარიმოში წაქცევა კი პენალტის დანიშვნის ღირსად არ ცნო, თუმცა ამ მომენტებმა მეტოქეთა დიდი პროტესტი გამოიწვია, განსაკუთრებით სამტრედიელთა მხრიდან.

**მერაბ მამულაშვილი**

სამტრედიიდან

## მეტალურგი კვლავ იგებს

**მეტალურგი 2:1 ივერია**

მეტალურგი: დოლიძე, ფოფხაძე, ყაველაშვილი (ტარტარაშვილი 15), არჩვაძე, თევზაძე, რეხვიაშვილი, ზირაქიშვილი (პეტრია 76), ჩალაძე, სილაგაძე, მეტრეველი (ამბიძე 82), ალადაშვილი

ივერია: გვარამაძე, ნეკერაშვილი, ლურსმანაშვილი, ი. ბუხრიკიძე, ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, ვ. ბუხრიკიძე, ლომიძე (ნარმანია 71), ტყემალაძე, კაციაშვილი, ზირაქაძე (გლუნჩაძე 62)

1:0 ფოფხაძე (42) 2:0 ალადაშვილი (75) 2:1 გლუნჩაძე (29)

მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

ამ მატჩში „მეტალურგი" მასპინძელი კი იყო, მაგრამ თბილისში, შევარდენის სტადიონზე მიიღო სტუმრები: მოგეხსენებათ, რუსთაველებს თვის ბოლომდე საკუთარ სტადიონზე თამაში აკრძალული აქვთ. ისედაც სუსხიან ამინდს თამაშის დაწყებისთანავე ისეთი თოვა დაერთო, რომ თამაშიც გააფუჭა და მოთამაშეთა ხასიათიც. რუსთაველებმა თავიდანვე შეუტიეს, ყრუ დაცვისთვის არც ივერიელებს მიუმართავთ და მოწინაალმდეგეს ხანდახან მწარედ ჩხვლეტდნენ კიდეც. პირობითმა მასპინძლებმა პირველ ტაიმში მხოლოდ ორი საგოლე მომენტი შექმნეს: ჩინებულად მოთამაშე ხაშურელთა კარის დარაჯმა გვარამაძემ ჯერ ალადაშვილის თაური უვნებელყო, ხოლო შემდეგ მეტრეველის მიერ სამი მეტრიდან დარტყმული ბურთი აიღო.

მეორე ნახევარში თოვამ იმატა. რაღა თქმა უნდა, ფეხბურთელებს მხედველობის არე შეეზღუდათ. რუსთაველებმა ტემპს მოუმატეს და ტაიმის დაწყებიდან სამ წუთში ანგარიშიც გახსნეს: ბურთი მცველთაგან უპატრონოდ მიტოვებულმა ფოფხაძემ გაიტანა. „მეტალურგმა" მერეც რამდენიმე საგოლე მომენტი შექმნა, მაგრამ ისევ და ისევ კარგად თამაშობდა გვარამაძე. ყველაფერს გააჩნია თავისი ბოლო: 75-ე წუთზე „კომკამაც" ვერ უშველა „ივერიას" და ალადაშვილმა ანგარიში ორამდე გაზარდა. „მეტალურგი" გატანილმა გოლმა დაამშვიდა, ხოლო ხაშურელებმა შეუტიეს და შეცვლაზე შემოსულმა გლუნჩაძემ შეაგდო. გოლი მართლაც რომ ლამაზი გახლდათ — ხაშურელთა თავდამსხმელის მიერ 25 მეტრიდან დარტყმული ცხრიანში შევარდა. წუთის შემდეგ მსაჯმა თამაში დაამთავრა.

**რეზო ძოძუაშვილი:** სასიხარულოა, რომ მატჩი მოვიგეთ, მაგრამ ეს არ იყო ის თამაში, რომელიც მსურს. გარკვეულწილად თოვლმაც შეგვიშალა ხელი და მეტოქემაც გულიანად ითამაშა. ახალგაზრდული და ახალშეკრებილი გუნდის თაობაზე „ივერიამ" კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

**მალხაზ ლაცაბიძე:** მეორე ტაიმი დაცვამ სუსტად ჩაატარა. არც ერთი გოლი არ იყო გასაშვები. მიუხედავად დამარცხებისა, ურიგოდ არ გვითამაშია. თუ ასე გავაგრძელეთ, ჯგუფში დარჩენა არ გაგვიჭირდება.

**მამუკა ქვანტალიანი**

დანარჩენი მატჩები ასე დამთავრდა

ბათუმი 11:0 დურუჯი

მარგვეთი 5:1 ეგრისი

დილა 1:1 შევარდენი

ტორპედო 3:1 კახეთი

ზუგდიდი 2:0 გურია

კოლხეთი 1:0 სიონი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 17 | 12 | 4 | 1 | 50-9 | 40 |
| სამტრედია | 17 | 12 | 4 | 1 | 57-20 | 40 |
| კოლხეთი | 17 | 12 | 2 | 3 | 42-23 | 38 |
| მარგვეთი | 17 | 12 | 1 | 4 | 50-17 | 37 |
| მეტალურგი | 17 | 12 | 0 | 5 | 37-20 | 36 |
| ბათუმი | 17 | 10 | 4 | 3 | 43-15 | 34 |
| ტორპედო | 17 | 10 | 4 | 3 | 41-19 | 34 |
| დილა | 17 | 8 | 4 | 5 | 29-26 | 28 |
| შევარდენი | 17 | 6 | 2 | 9 | 25-32 | 20 |
| კახეთი | 17 | 5 | 3 | 9 | 17-35 | 18 |
| ზუგდიდი | 17 | 5 | 1 | 11 | 27-44 | 16 |
| ეგრისი | 17 | 4 | 2 | 11 | 28-42 | 14 |
| ივერია | 17 | 4 | 2 | 11 | 16-33 | 14 |
| სიონი | 17 | 4 | 0 | 13 | 15-35 | 12 |
| გურია | 17 | 3 | 0 | 14 | 13-47 | 9 |
| დურუჯი | 17 | 0 | 1 | 16 | 5-74 | 1 |

## მანჩესტერი: აქეთ გიო, იქით კანტონა

თბილისში რამდენიმე ფიფქი ჩამოფარფატდა და... გამოირთო სინათლე, გაჩერდა მეტრო, ტროლეიბუსი, გაითიშა ტელეფონი. ამიტომაც ჩვენი ლონდონელი კორესპონდენტი დავით მჭედლიშვილი ვერ დაგვიკავშირდა. ინგლისიდან ცხელ-ცხელი ამბების სიდუხჭირე გადავწყვიტეთ „როიტერის" მიერ გავრცელებული სტატიით შეგვევსო.

„მანჩესტერ იუნაიტედისა" და „მანჩესტერ სიტის" ისტორიას საცობი რომ მოვხსნათ, შამპანურივით ამოხეთქავს დიდ ფეხბურთელთა სახელები. მათი სახელები, „ოლდ ტრეფორდსა" და „მეინ როუდზე" რომ უთამაშიათ.

შეუდარებელი დენის ლოუ, სხვადასხვა დროს ორივე გუნდში რომ თამაშობდა, წარმოშობით შოტლანდიელი იყო. სერ მატ ბასბიც ორივეგან თამაშობდა 30-იან წლებში. მან „მანჩესტერ იუნაიტედი" ბრწყინვალე გუნდად აქცია, როცა 1945 წლიდან მწვრთნელობას მოკიდა ხელი.

ჩამონათვალი უსასრულოა, სახელები ნაცნობი: ჩრდილოირლანდიელი ჯორჯ ბესტი, ბილი მერედიტი, რაიან გიგზი და როი პოლი უელსიდან, შოტლანდიელები მარტინ ბაჩანი და ჯო ჯორდანი, გერმანელები ბერტ ტრაუტმენი და უვე როსლერი. მათ ყველას „იუნაიტედის" წითელი ან „სიტის" ცისფერი მაისურები ეცვათ.

მაგრამ იშვიათად თუ მიუღწევია მანჩესტერელთა რომელიმე შვილობილს ისეთი აღიარებისთვის, ფრანგმა ერიკ კანტონამ და ქართველმა გიორგი ქინქლაძემ რომ მიაღწიეს.

შაბათს ორივემ კიდევ ერთხელ აღაფრთოვანა ქომაგები. კანტონამ ბოლო წამს „ქუინზ პარკს" გაუთანაბრა და თავისი გუნდი ცხრილის სათავეში მოაქცია. ეს ბოლო სამ შეხვედრაში ფრანგის მესამე გოლი იყო. ჯერ, 4 მარტს „ნიუკასლს" გამარჯვებისა გაუტანა, შემდეგ ფეხბურთის ასოციაციის თასზე „საუთჰემპტონს" შეუგდო და ახლა „ქუინზ პარკთან" ზემოხსენებულიც დაამატა.

ქინქლაძემ, მშვენიერი დრიბლინგით და გააზრებული თამაშით ინგლისის საუკეთესო ფეხბურთელობას რომ უმიზნებს, „საუთჰემპტონს" უმნიშვნელოვანეს შეხვედრაში ორი გოლი გაუტანა.

ერთი თვის წინ ქართველმა, რომელიც თბილისის „დინამოსგან" მხოლოდ ორ მილიონ გირვანქად იყიდეს, დღევანდელ ინგლისში იშვიათად ხილული დრიბლინგით ჩამოიცილა „ნიუკასლის" სამი მცველი. შაბათს იგივე გაიმეორა. ერთი უკვე გატანილი ჰქონდა, როდესაც „საუთჰემპტონის" მცველებს რალაცნაირად ჩაურბინა, მეკარეც ზედ დააყოლა და გაიტანა.

მისმა მწვრთნელმა ალან ბოლმა ეს გოლი 86-ში მსოფლიოს ჩემპიონატზე მარადონას მიერ ინგლისის ნაკრების კარში გატანილ გოლს შეადარა.

კანტონა და ქინქლაძე. მათი ბრწყინვალე, არატრადიციული ყაიდა მაყურებელს და მწვრთნელებს აღაფრთოვანებს.

„სიტის" მწვრთნელმა ალან ბოლმა იცის, რომ ძლიერი გუნდის შექმნა მას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლება, საძირკვლად ქინქლაძეს თუ დაუგებს. „იუნაიტედის" მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა მითუმეტეს იცის, რომ მისი გუნდის ფუნდამენტი კანტონაა. ფერგიუსონს შარშან საშინელი დღე ადგა, როდესაც ფეთქებადი ხასიათის მქონე ფრანგმა მაყურებელს წიხლი ჩაარტყა და რვათვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. ოქტომბერში კანტონა დაბრუნდა და კვლავ აჩვენა თავისი ძალა. იგი 1991 წელს „მარსელში" საფრანგეთის ჩემპიონი გახდა, 1992-ში „ლიდსში" ინგლისის ჩემპიონი, იგივე ტიტული „იუნაიტედის" შემადგენლობაში 1993 და 1994 წლებში მოიპოვა.

შაბათს, „ქუინზ პარკის" თამაშის შემდეგ ფერგიუსონმა თქვა: „ეს ერიკის მესამე უმნიშვნელოვანესი გოლი იყო დისკვალიფიკაციის შემდეგ. მას ეს ბრწყინვალედ ეხერხება. ის საჯარიმოში ლანდივით იპარება და საჭირო წუთს გამოავლენს ხოლმე თავს. დღევანდელი ფრე ჩვენთვის ბრწყინვალე შედეგი სულაც არ იყო, თუმცა ვნახოთ, გავა დრო და გამოჩნდება".



გიომ ინგლისში წყვილი გოლების გატანა ისწავლა და არც „სარბიელის" კითხვა დაივიწყა

# მასპინძლები დაჩაგრეს

## საქართველოს ჩემპიონატი

### XVI ტურის მიმოხილვა

### ეგრისი 1-3 დინამო

ეგრისი: ბულია, ჟღარკავა, ნაჭყებია, ბენდელიანი, ახალაია, ნოდია, ფიფია, წულაია, თორია, მიქაძე (გ. მიქავა 21), გოგუა (ა. მიქავა 21)

დინამო: ზოიძე, კალაძე, ლობჟანიძე, დიდავა, მაჭავარიანი, გოგიჩაიშვილი, კობიაშვილი, ყიზილაშვილი, კერძევაძე (დემეტრაძე 86), ანჩაბაძე (გადელია 75), იაშვილი (ხომერიკი 61)

0:1 კერძევაძე (10), 0:2 ანჩაბაძე (18), 1:2 ახალაია (75) 1:3 იაშვილი (61)

მსაჯი: გ. ასკაროღლი (ქარელი)

მეორე წრის ხასტარტო მატჩმა სენაკში დიდი ინტერესი გამოიწვია. თამაშს 5 000-მდე გულშემატკივარი დაესწრო. „დინამომ" თავიდანვე შეუტია, მაგრამ პირველი სახიფათო მომენტი მასპინძლებმა შექმნეს — ფიფიას თავით დარტყმული ძელს მოხვდა. ამის მერე სტუმრები გონს მოეგნენ და ჩინებულად მოთამაშე ანჩაბაძემ ჯერ კერძევაძეს გაატანინა, ცოტა ხანში კი თავად გაზარდა ორამდე ანგარიში. სურათი არ მეორე ნახევარში შეცვლილა. სტუმრები უტევდნენ, მასპინძლები კონტრშეტევებით პასუხობდნენ. სენაკელთა ერთ-ერთ კონტრშეტევას კუთხური მოჰყვა, ხოლო ჩაწოდებული საჯარიმოს კუთხესთან ახალაიას მიუვიდა. მის მიერ შეუჩერებლად დარტყმული ცხრიანში გაეხვა. „ეგრისის" ქულის გადარჩენის შანსი გაუჩნდა და შეუტია, მაგრამ მეორე ნახევრის შუაში იაშვილის გოლმა ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა, სენაკელებს ანგარიშში სხვაობის შემცირება შეეძლოთ, მაგრამ ფიფიას მიერ შორიდან დარტყმული ისევ ძელს მოხვდა, მოკლედ, ლიდერმა მორიგი სამი ქულა ჩაიწერა და თბილისში არხეინი დაბრუნდა.

### სიონი 0-3 სამტრედია

სიონი: სიდამონიძე, მეტრეველი (მეფარიშვილი 70), რუხაძე, ყიფშიძე, ვაშაკიძე, გოგოლაძე, ტოროშელიძე, მოსეშვილი (სამხარაძე 78), ჯაჯიძისი, (ანდღულაძე 46), ფაიქიძე, შაკიაშვილი

სამტრედია: ჭანტურია, ხვადაგიანი, ლურსმანაშვილი (რუხაძე 78), ჯელაძე, ფანჩულიძე, ამაშუკელი, გოგიაშვილი, ხუჭუა (ჩომახიძე 75), ტყავაძე, დარასელია, ჩხაიძე

0:1 ტყავაძე (2) 0:2 ჩხაიძე (28) 0:3 ტყავაძე (77)

მსაჯი: თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

დაიწყო თუ არა თამაში, ცხადი გახდა, რომ მოუმზადებელ „სიონი" სტუმრებთან ვერაფერს გახდებოდა. გუნდებს ხეირიანად მისალმებაც არ დაესრულებინათ, რომ ბუბა ტყავაძემ სტუმრები დააწინაურა. ამას დაახლოებით 25 მეტრიდან ჩხაიძის ყუმბარისებური დარტყმა და მეორე გოლი მოჰყვა. „სამტრედია" მერეც უტევდა და ორჯერ ბოლნისელთა კარის ძელებიც შეაწუხა. მასპინძელთა ცდას, რაიმე ეღონათ, შედეგი არ მოჰყოლია. თამაშს წერტილი ჩინებულად მოთამაშე ტყავაძემ დაუსვა, ამჯერად ზუსტი თავურით.

### მარგვეთი 1:1 დილა

მარგვეთი: გვენცაძე, ჭვანია, გურიელიძე, გაბრიჭიძე, მაღლაკელიძე, მორგოშია (ქებაძე 46), კაკუბავა, ჩხეტია, ნიკლაური, კიკნაძე, ენდელაძე

დილა: სოლოლაშვილი, ბალაშვილი, ლომიძე, ჯ. გაგნიძე, თარხნიშვილი, ნკრიალაშვილი, მარეხაშვილი (ტაბატაძე 85), ციცქიშვილი (ხ. გაგნიძე 65), მარლიშვილი, ხორგუაშვილი, რევაზიშვილი (ფეზუაშვილი 89)

0:1 რევაზიშვილი (60) 1:1 ქებაძე (75)

გაფრთხილება: ბალაშვილი, მარლიშვილი

მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი)

ერთ-ერთმა ლიდერთაგანმა, „მარგვეთმა" დაუგეგმავი ქულა დაკარგა. მასპინძლებმა ნამდვილად ვერ ითამაშეს ისე, როგორც გულშემატკივრები ელოდნენ. „დილამ" კი პირიქით, თავდადებით იბრძოლა. გორელ ხელმძღვანელებს თურმე შეფუცხუნებამ არგო, ფეხბურთელებთან ყველა ვალი გაუსწორებიათ, მათაც, ნახეთ რა ბიჭებიც ვართო და, საპრიზო ადგილის მაძიებელ მასპინძლებს ნანატრი ქულა ართვეს. სტუმრები თავსაც კარგად იცავდნენ და ხეირიანადაც უტევდნენ. ძირითადი მოვლენები მეორე ნახევარში განვითარდა. გორელებს თავდადება დაუფასდათ: აქტიურად მოთამაშე რევაზიშვილმა ბურთი მარჯვენა ფლანგზე მიიღო, მცველებს დაუსხლტა და მარჯვენა ფეხით საჯარიმოს ხაზიდან ლამაზი გოლი გაიტანა. „მარგვეთმა", სამი ქულა ხელიდან შეცლებოდა და შეუტია. მასპინძლები შერცხვენას გუნდის დებიუტანტმა, „შაბუკიანიდან" გადმოყვანილმა ქებაძემ გადაარჩინა.

### გურია 1-0 ბათუმი

გურია: აბაშიძე, ლურწკაია, ცერცვაძე, კუკულაძე, ყოლბაია, ებრალიძე, ნარიაშვილი (ლორია 60), განევი, ქიქავა, ბახტაძე (გოგიჩაიშვილი 85) მარგიანი

ბათუმი: ტოგონიძე, შანიძე, ჩიქოვანი, მუჯირი (კანტიძე 72), შეყილაძე, თორლაშვილი, მ. მახარაძე, მაჭუტაძე, ტულუში, უჯმაჯურიძე (დ. მახარაძე 65), მინდაძე

1:0 მარგიანი (53)

გაფრთხილება: ლურწკაია, ებრალიძე

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

საპრიზო ადგილის მაძიებელმა „ბათუმმა" ლანჩხუთში „გურიასთან" წააგო. ბათუმელები გამუდმებით უტევდნენ, პირველი ოცი წუთი მართლაც შტურმები მოუწყვეს გურულებს, მაგრამ აშკარა საგოლე მომენტი მაინც ვერ შექმნეს. შეტევით გართულ სტუმრებს „გურიას" რამდენიმე კონტრშეტევა გაეპარათ, გოლის გატანა შეეძლოთ განევს, ქიქავას, ბახტაძეს. მეორე ნახევარში მარგიანმა მაინც გაუტანა სტუმრებს და... ამ ერთმა გოლმა „ბათუმი" მეშვიდე ადგილზე ჩამოაქვეითა, „გურიას" კი პირველ ჯგუფში დარჩენის იმედი გაუღვივა. ლანჩხუთელებს აშკარად ეტყობათ, რომ ნორმალურად მომზადებულან მეორე წრისთვის. პირველ წრესთან შედარებაც არ შეიძლება, ისე თამაშობს ამჟამად „გურია". ბათუმელებმა კი ამ მატჩში ერთობ უგერგილოდ ითამაშეს.

### დურუჯი 1-3 კოლხეთი

დურუჯი: პაქსაშვილი. ვარადაშვილი, ბოჭორიშვილი, ცინცაძე, მოსიაშვილი, ყანჩაშვილი, კობიაშვილი (კუპრაშვილი 87), ოსეფაშვილი (ნინრიაშვილი 85), ქარენაშვილი (დავითაშვილი 83), ყიზილაშვილი, დარჩიაშვილი

კოლხეთი: გოგუა, მიქაბერიძე, კაკაჩია, ხუჯაძე, არზიანი, ინიაშვილი (ამბიძე 46) კიკლხაშვილი (ლაღანიძე 86), ტორჩინავა (ბულუხია 46), გიორგაძე, გაბისონია, ქობულაძე

1:0 კობიაშვილი (20) 1:1 ბულუხია (50) 1:2 გაბისონია (56) 1:3 მიქაბერიძე (76)

მსაჯი: ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

გამარჯვება სტუმრებს გვარიან ნერვების წყვეტად დაუჯდათ. საქმე ის გახლდათ, რომ კობიაშვილის გოლის წყალობით მასპინძლები დაწინაურდნენ კიდეც და პირველ ნახევარში ფოთელებს ტოლი არაფერში დაუდეს. მეორე ტაიმში „დურუჯს" ძალა არ ეყო, ან რა ძალზე შეიძლება ლაპარაკი, როცა გუნდი ხუთიოდ დღის შეკრებილია. სტუმრებმა, ცხადია, ისარგებლეს ამით და ყვარლელთა მეთოდური შევიწროება დაიწყეს. 10 წუთში ბულუხიამ და გაბისონიამ ორი ბურთი შეაგდეს, მიქაბერიძემ თამაშის დამთავრებამდე 14 წუთით ადრე ამას ერთიც დაუმატა. ამ გამარჯვებამ „კოლხეთი" მესამე ადგილზე კი „წამოასკუპა", რაც ფოთელთათვის უცხო ხილი არ გახლავთ, მაგრამ საპრიზო ადგილის შესანარჩუნებლად მათ დიდი ბრძოლების გადახდა და ბლომად გამარჯვებების მოპოვება მოუწევთ. აღსანიშნავია, რომ ყვარელში ფოთელები ერთი ხანობა გუნდიდან წასულმა და აწ უკვე მობრუნებულმა მთავარმა მწვრთნელმა სოსო ფილიამ გამოიყვანა.

### ივერია 1-1 ტორპედო

ივერია: გვარამაძე, ნეკერაშვილი, ლურსმანაშვილი, ვანო ბუხრიკიძე, ზ. ლაცაბიძე, ხარაზიშვილი, ვახტანგ ბუხრიკიძე, ჩადუნელი (გლუნნაძე 75), ტყემალაძე, კაციაშვილი, ზირაქაძე (ლომიძე 56)

ტორპედო: მამარდაშვილი, ჯიინჭარაძე, ჩხაბერიძე, თურმანიძე, ვოსკანოვი (იობიძე 70), გიორგობიანი, კვეტენაძე, ჩხეტიანი, სადილიანი, აშვეთია, ვაჩიბერაძე (მეგრელაძე 60)

0:1 აშვეთია (37) 1:1 კაციაშვილი (42)

მსაჯი: ე. სილაგავა (თბილისი)

ამ მატჩში ფავორიტად ყველა სტუმრებს ასახელებდა, მაგრამ თქვენც ნუ მომიკვდებით... განახლებულმა და გაახალგაზრდავებულმა „ივერიამ" მეტოქეს არაფერი დაუთმო. მართალია, „ტორპედო" გამუდმებით უტევდა, მაგრამ ხაშურელებიც მწარედ იკბინებოდნენ. ის კი არა, მოგებაც შეეძლოთ, 25-ე წუთზე ჩადუნელს თერთმეტმეტრიანი რომ არ გაეფუჭებინა. ანგარიში სტუმრებმა გახსნეს. გოლი დაუოკებელმა აშვეთიამ შეაგდო, მაგრამ ქუთაისელთა სიხარული ხუთი წუთი გაგრძელდა — მასპინძელთა შეტევა კაციაშვილმა ზუსტი დარტყმით დააგვირგვინა. მეორე ნახევარში ორივე მხარე ბევრს ეცადა ანგარიშის შეცვლას, მაგრამ საბოლოოდ ერთმანეთს მშვიდობიანად დაშორდნენ.

### კახეთი 2-1 ზუგდიდი

კახეთი: ხაჩირაშვილი, შონია, ათუაშვილი, წიკლაური, ნაკუდაიძე, შალამბერიძე, ლობჟანიძე, ჯაშიაშვილი, სოლოლაშვილი, ბაბულაიძე, კახოიძე (ლვინიაშვილი 75)

ზუგდიდი: ნაყოფია, ახვლედიანი, ერქვანია, ჯაბუა, მიქაძე, ჯავაშვილი, კვარაცხელია, კუტალია, გაბედავა, გიგიბერია, (გუგუჩია 18), აფაქიძე

1:0 ჯაშიაშვილი (6 პ) 2:0 შონია (53) 1:2 კვარაცხელია (75 . პ)

გაფრთხილება: ახვლედიანი

მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

თელავში დიდი ამბებია. რაიონის ხელმძღვანელობამ მოთამაშეების მიხედვა არ იკმარა და სტადიონსაც არემონტებს. „კახეთიც" ეტყობა, გახალისდა და აკი გაიმარჯვა კიდეც. თამაშის დასაწყისში მასპინძელმა ჯაშიაშვილმა პენალტი თუ გაიტანა, მერე შონიამ ისარგებლა სტუმართა მცველების შეცდომით. ამ ორ გოლს ზუგდიდელებმა კვარაცხელიას თერთმეტმეტრიანით უპასუხეს, მეტის გაკეთება კი ვერ შეძლეს.

ეროვნული ჩემპიონატის მეთექვსმეტე ტურში სტუმრებმა იმარჯვეს, მათ 4 შეხვედრაში გაიმარჯვეს, 2 ფრედ დამთავრდა, და მხოლოდ 2-ში იყოჩაღეს მასპინძლებმა. ტურში გატანილი 21 გოლიდან 14 სტუმრების ანგარიშზეა. სამი თერთმეტმეტრიანიდან ერთი გაცუდდა. მსაჯებმა რვაჯერ გაიკრეს ჯიბეზე ხელი და 8 უწესრიგო ყვითელი ბარათით დასაჯეს, ტურის რვა მატჩში არც ერთი ექსცესი არ მომხდარა, ყველა თამაშმა ნორმალურად ჩაიარა.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ტყავაძემ ტურში ერთადერთმა ორი გოლი გაიტანა

მამუკა კვანტალიანი

# ჩიხრაძე მალე მოჯანმრთელდება



საქართველოს ნაკრების წევრის გიორგი ჩიხრაძის დაშავების ამბავი „სპორტ-ექსპრესიდან" შევიტყვეთ და, ცხადია, მასთან დონეცკში დაკავშირება ვისურვეთ. ფეხბურთელის მდგომარეობის შესახებ რაიმეს გაგებას მისი ოჯახის წევრებისგან ვაპირებდით, რადგან „სპორტ-ექსპრესის" წაკითხვის შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ჩიხრაძე საავადმყოფოში ან სახლში გირეზმოკიდებული უნდა წოლილიყო, მაგრამ, ჩემდა გასაოცრად, ტელეფონთან თვითონ გიორგი მოვიდა. როგორც მან მითხრა, ტრავმა სერიოზული არ ყოფილა...

— უკრაინის თასის მერვედფინალში კიევის „დინამო-2"-ს დონეცკის გარეუბანში — დაბა ხოლოდნაია ბალკაში ვუმასპინძლეთ. თამაში ხრეშიან-ყინულიან მოედანზე მოგვიხდა. მატჩის წინ საფარის გაწმენდა სცადეს, მაგრამ ხრეშისაგან მინდორი ბოლომდე ვერ გაცალეს. წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა. თამაშის დროს სულ იმაზე ვფიქრობდი, რამენაირად არ დავშავებულიყავი, თუმცა ტრავმას მაინც ვერ გადავურჩი.

— როგორ დაშავდით?

— ბურთი მომაწოდეს თუ არა, დავიძარი, ამ დროს კიევლთა მოთამაშე დამეწია, ფეხი გამომდო და წამაქცია. გულაღმა დაცემულს ზურგის კუნთი დამეჭიმა. ახლაც ძალიან მაწუხებს და, ბუნებრივია, ვეღარ ვვარჯიშობ.

— რამდენად სერიოზულია ტრავმა?

— სერიოზული, მადლობა ღმერთს, არ არის, ალბათ, 10 დღეში ვარჯიშსაც დავიწყებ, ახლა თავისუფალი დრო გამიჩნდა და შესაძლოა თბილისშიც ჩამოვიდე.

— დონეცკში რატომ არ ითამაშეთ?

— დიდთოვლობის გამო. ერთმეტრიანი თოვლის საფარისგან მოედნის გაწმენდა ვერც იქ მოახერხეს, ამიტომ მატჩის ჩატარება ხოლოდნაია ბალკაში გადაწყდა. თუმცა, როგორც გიამბეთ, ჯობდა, არ წავსულიყავით...

მერაბ მამულაშვილი

# რუსთავის «მეტალურგი» რუსთავში ითამაშებს!

საქციო საზოგადოება „გორდას" თავმჯდომარის პაატა ქანდაურიშვილის თქმით, რუსთავის „მეტალურგი" მეორე წრის მეორე საშინაო მატჩს ლანჩხუთის „გურიასთან" შინ ჩაატარებს. ეს თამაში 31 მარტს უნდა გაიმართოს და, როგორც ქანდაურიშვილმა გვითხრა, ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებისაგან სათანადო ნებართვა უკვე მიღებულია. ერთი სიტყვით, რუსთავის სტადიონს ის დისკვალიფიკაცია გაუუქმდა, ამასწინათ ფედერაციამ სათამაშო მოედანზე ვარჯიშების ჩატარებისთვის რომ დაუდგინა. ისე, ძოწიაშვილის გუნდი თავს სტუმრადაც კარგად გრძნობს.


ინგლისური ენის შესწავლის მსურველებს

გიწვევთ ილონა დავიდოვას „ექსპრეს-მეთოდით" შემსწავლელ სამთვიან კურსებზე. სწავლება მიმდინარეობს ლინგოფონური სისტემით.

ჩვენი მისამართია: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, მე-7 კორპუსი, მე-3 სართული, საგზაო-საავტომობილო ფაკულტეტის დეკანატი.

ტელეფონი: 36-00-94, 36-65-00, 93-36-71


# «სამტრედიაში» არ ვითამაშებ

ვალტერ გუჩუამ, ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ბევრ გუნდში მოასწრო თამაში. ოჩამჩირელმა ბიჭმა თავისი საფეხბურთო კარიერა „ამირანში" დაიწყო, შემდეგ იყო „ცხუმი", ისევ „ამირანი", „სამგურალი", „შევარდენი"... მეშვიდე ჩემპიონატი „სამტრედიაში" დაიწყო და პირველი წრეც ამ გუნდში ჩაამთავრა. მერე ერთი ხანობა ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების დაცვის ბურჯზე არაფერი გვესმოდა, ისლა შევიტყვეთ, რომ გუჩუა მენისკის სამკურნალოდ უკრაინას გაემგზავრა. ეს იყო და ეს, მეტი არაფერი ვიცოდით. გუჩუას 14 მარტს თბილისში „შევარდენი" — „მეტალურგის" თამაშზე შევხვდით და მასთან გასაუბრების შანსი ხელიდან არ გავუშვით...

— პირველი წრე დამთავრდა თუ არა, დავტოვე „სამტრედია" და მოსკოვს მივაშურე, იქაურ „ტორპედოში" წაველი გასასინჯად. პირველი შეკრება გუნდთან ერთად გავიარე, კლუბის ხელმძღვანელობას მოვეწონე და ის იყო მოლაპარაკებაც უნდა დაგვეწყო, რომ ბედმა მიმუხთლა, დავშავდი. რაღა დამრჩენოდა, უკან გამოვბრუნდი.

— ვიცით, რომ მენისკი გტკიოდა და მკურნალობდი კიდეც. სანამ გამოგელაპარაკებოდი, დაგაკვირდი და უკვე აღარ კოჭლობ. გეტყობა, ფეხი აღარ გაწუხებს. ვარჯიშიც ხომ არ დაგიწყია?

— კარგა ხანია ვვარჯიშობ, მანამდე უკრაინაში, კრიული როგში ვიმკურნალე. საბედნიეროდ, ოპერაცია არ დამჭირდა და ულტრა-სხივებით მიმკურნალეს. მეც საქართველოში გამოვეშურე, ცოტა დავისვენე და მურთაზ ხურცილავასთან „შევარდენში" ვარჯიშიც დავიწყე. ასე რომ, ბევრი არაფერი დამიკარგავს.

— კი მაგრამ, შენ „სამტრედიაში" ირიცხები, გუნდი კი უშენოდ თამაშობს, რატომ?

— „სამტრედიაში" აღარასოდეს ვითამაშებ. ამის მიზეზიც მაქვს და გეტყვი. იქ მთავარი მწვრთნელი ბრწყინვალე კაცია, გუნდშიც კარგი ბიჭები თამაშობენ და გულშემატკივრებიც ძალიან მიყვარს. წამოსვლის მიზეზი ჩემი და ტარიელ ჩანუას უთანხმოება გახლავთ. კონტრაქტის არც ერთი პირობა არ შესრულებულა, ხელფასსაც ყოველთვის როდი ვიღებდი დროულად და შეპირებული რაოდენობით. მოკლედ, პრეზიდენტმა სიტყვა მიტეხა, ორ პირობას კი ვერ ვგუობ. თანაც, მშობლიური კერიდან გამოხიზნული კაცისთვის ძნელია ენთუზიაზმზე თამაში. მე ხომ მშობლები და ახლობლები მყავს, მათ ხომ პატრონობა და მიხედვა სჭირდებათ. მიჭირს და ახლა არ შეიძლება ჩემი მოტყუება, თორემ წელში რომ გავიმართები, მერე სათხოვარი და დასამადლებელი არაფერი მექნება. ისეთ კაცთან მუშაობა, როგორიც ტარიელ ჩანუაა, არ შემიძლია და არც მსურს.

— გასაგებია, „სამტრედიასთან" კონტრაქტის დარღვევას აპირებ, მაგრამ ისიც გეცოდინება, რომ, დებულების თანახმად, პირველი ჯგუფის ვერცერთ გუნდში ვერ ითამაშებ. გამოსავალს რაში ხედავ?

— ეგ ყველაფერი კარგად ვიცი, მაგრამ ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ. ბოლო-ბოლო, მეორე ჯგუფის გუნდში წავალ სათამაშოდ. თუ ეს არ მომიხერხდება, დიდი-დიდი, სამმა თვემ მომიწიოს უგუნდოდ ყოფნამ, ახალი სეზონიდან კი, იცოცხლეთ, სასურველ კლუბსაც ვიპოვნი.

— ისეთი თავდაჯერებული ჩანხარ, ეტყობა, ვილაც-ვილაცეები გიწვევდნენ კიდეც.

— კი, იყო წინადადებები აქაც და რუსეთშიც. ყველაზე მეტად იმაზე მწყდება გული, რომ თბილისის „დინამოს" ხელმძღვანელობას არ დავუჯერე, მათ მიწვევას შევცდი, და უარი ვთქვი. მართალია, ძირითად „დინამოში" ვერ ვითამაშებდი, მაგრამ „დინამო-2"-იც ხომ არის. ბოლოსდაბოლოს, სათამაშო პრაქტიკა არ მომაკლდებოდა, მაგრამ ახლა ამაზე წუწუნი გვიანაა.

— არ გეშინია, რომ უგუნდობამ და უთამაშებლობამ საკმაოდ ჩამოგარჩინოს?

— სულაც არა. ხომ გითხარი, სამი თვე ვერაფერს მიზამს-მეთქი. ჯერ 21 წლისაც არა ვარ, ყველაფერი წინ მაქვს, თან შრომასაც არ დავიზარებ და ნახავთ, ვალტერ გუჩუა ფეხბურთს კიდევ ითამაშებს.

ამ სიტყვებით დამშორდა ახალგაზრდა ფეხბურთელი. ცოტა გულნატკენი კია, მაგრამ მის თვალებში ისეთი ჟინი და თამაშის წყურვილი შევნიშნე, მჯერა, თავს არ დაზოგავს მიზნის მისაღწევად.

მამუკა კვანტალიანი

# მეორე ჯგუფმაც დაიწყო

განახლდა ასპარეზობა საქართველოს პირველობის მეორე ჯგუფის ორივე — დასავლეთისა და აღმოსავლეთის ზონებში. ლიდერთა სამეულს შორის ქულათა უმნიშვნელო სხვაობაა, ასე რომ, სეზონის ბოლოს უკომპრომისო ბრძოლაა მოსალოდნელი.

აღმოსავლეთ ზონაში „მერანი-91" ლიდერობს. გუნდს, თუ არ ჩავთვლით „ნორჩ დინამოელში" მწვრთნელად გადასულ მეტრეველს, ფაქტიურად, არავინ დაჰკლებია. შევსებაც უმნიშვნელოა — „შევარდენიდან" ნახევარმცველი გია მაზანაშვილი და „კახეთის" ყოფილი მცველი ლევან ცქიფურიშვილი დაიმატეს. ბოლო ორი წლის მანძილზე გუნდი სტაბილური შემადგენლობით გამოდის. მერანელები საკმაოდ კარგად არიან შეთამაშებულნი და ეს შეიძლება მათი წარმატების გარანტიადაც იქცეს, რასაც ვერ ვიტყვით მეორე ადგილზე მყოფ პოლიციის აკადემიის გუნდზე. ავაზელთაგან, რომელთა ბირთვზეც ჩამოყალიბდა ეს გუნდი, ძალიან ცოტა ფეხბურთელი დარჩა, რადგანაც ახალმა მწვრთნელმა შოთა ჭეიშვილმა ბევრი მოთამაშე დაიმატა. აკადემიისათვის უდავოდ მნიშვნელოვანი ფაქტია „მერანის" ყოფილი მთავარი მწვრთნელის ანზორ გძელიძის შემატება, ამ ყოფილი კონკურენტის სახით მათ ხომ თავიანთი ძირითადი მეტოქის შესანიშნავი მცოდნე შეიძინეს. გუნდი შეავსეს „შევარდენიდან" გადმოსულმა ცენტრალურმა მცველმა გიორგი მჭედლიშვილმა და ხაშურის ივერიელმა, ნახევარმცველმა დათო მაქაცარიამ. ჯერ კიდევ პირველ წრეში აქ „მორკინალიდან" საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი წევრი, მარცხენა მცველი დათო კარიაული გადმოვიდა. აკადემიას უკრაინიდან დაბრუნებული ლადო ჭილოკავა და ლაშა გაგუაც გააძლიერებენ. გუნდის ხელმძღვანელობამ მხოლოდ ერთი ფეხბურთელი — ახალგაზრდული ნაკრების მეკარე დათო გვარამაძე ვერ მიიწვია, რადგან ლიგიდან ლიგაში მხოლოდ ორი ფეხბურთელის გადასვლაა ნებადართული. ამის გამო გვარამაძე კვლავ „ივერიაში" დაბრუნდა. პოლიციელთა გუნდს გამოაკლდათ ხვიჩა ქსრაშვილი და ბადრი კვარაცხელია. შესაძლოა, დროებით ვერ ითამაშოს მცველმა ქეთათელაძემ, რომელმაც საქართველოს თასის საპასუხო შეხვედრისას ბათუმში ხელი მოიტეხა. მოკლედ რომ ვთქვათ, პოლიციის აკადემია საკმაოდ გაძლიერდა და თუკი დროის მცირე მონაკვეთში მოხერხდება ფეხბურთელთა შეთამაშება, მაშინ, სავსებით შესაძლებელია, რომ შოთა გორგოძის პროგრამა-მინიმუმი — გუნდის I ჯგუფში მოხვედრა — წელსვე განხორციელდეს. ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრის პროგრამა-მაქსიმუმი კი პოლიციის ტრადიციების შესაფერისი ძლიერი გუნდის შექმნა გახლავთ.

ყურადღებას იმსახურებს თბილისის „დინამო-2", რომელსაც აშკარად დაეტყო თემურ მახარაძის ხელი. ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ უმცროსი დინამოელები ახლავე დაამშვენებდნენ საქართველოს ჩემპიონატის პირველ ჯგუფს. მწვრთნელმა შესძლო ნიჭიერი ფეხბურთელების ერთიან კოლექტივად შეკვრა, მან გუნდს საკუთარი სტილი გამოუმუშავა და ლამაზი, სანახაობრივი ფეხბურთის მომხრედ მოგვევლინა. ყველაზე სასიამოვნო ის ფაქტია, რომ გუნდის თითქმის ყველა წევრი ოსტატობასაც უმატებს. ეგაა, უმცროს დინამოელებს გამოცდილება და შეთამაშება აკლიათ, რის გამოც პირველი წრე არასტაბილურად ითამაშეს. თუმცა, პირველი წრის დასასრულს ვითარება შეიცვალა და გუნდიც უკეთ ათამაშდა, რის დასტურად ბოლო ორ ტურში ლიდერებთან გამარჯვებებიც კმარა. ჯერ კიდევ ძველი შემადგენლობის აკადემია 6:0 გაანადგურეს. „მერანმა", თუმცა კი უფრო მედგარი წინააღმდეგობა გაუწია ახალგაზრდა დინამოელებს, მაგრამ იგიც დაამარცხა — 2:0. დინამოელებმა მოსამზადებელი ეტაპიც ნაყოფიერად გაიარეს, ასე რომ, ამჟამად გუნდი სერიოზულ ძალას წარმოადგენს. მთავარი მაინც ის არის, რომ ოფიციალურ თუ საკონტროლო მატჩებში მიღწეულმა გამარჯვებებმა ახალგაზრდებს საკუთარი ძალების რწმენა შემატა. თუმცა, გადავა თუ არა გუნდი I ჯგუფში, ეს მომავლის საკითხია და „დინამოს" ხელმძღვანელობაზეა დამოკიდებული — მოისურვებს თუ არა იგი I ჯგუფში მეორე გუნდის ყოლას. ამ სამეულის მდევარი რუსთავის „აზოტია". აქედან ორი წამყვანი ფეხბურთელი „მეტალურგში" გადავიდა, რის გამოც, შესაძლოა, „აზოტის" შანსები შემცირდეს, ხოლო, რამდენად სერიოზულია „მორკინალისა" და „არმაზის" ამბიციები, მეორე წრე დაგვანახებს.

სამწუხაროდ, დასავლეთის ზონის თამაშების ნახვის საშუალება ნაკლებად გვაქვს და გვიჭირს ამა თუ იმ გუნდის შესაძლებლობებზე საფუძვლიანი მსჯელობა. ერთის თქმა კი უყოყმანოდ შეიძლება: აქ ბრძოლა „სამგურალს", „ანჯელსა" და „შუქურას" შორის გაჩაღდება.

„სამგურალმა", აბაშელებისაგან განსხვავებით, ძირითადი შემადგენლობის შენარჩუნება მოახერხა. ეტყობა, სოსო ფრუიძე სერიოზულად ემზადება საპირველჯგუფოდ — ლიდერისაგან ერთქულიანი ჩამორჩენა ჯერ კიდევ არაფერს წყვეტს. წყალტუბოელებს უპირატესობად ისიც ეყოფათ, რომ „ანჯელს" ბოლო ტურში შინ იღებენ. თუმცა ძნელია დღეს იმის გამოთვლა, თუ ვინ მოხვდება მომდევნო სეზონიდან ქართულ საფეხბურთო ელიტაში, სასურველია მხოლოდ ის გუნდი, ვისაც შემდგომ ბურთი, ფორმა, ხელფას-პრემიები და საჭმელ-სასმელი ექნება. პირდაპირ ვიტყვით: ლამისაა მომავალი სეზონიდან პირველჯგუფელი გუნდების პრობლემებს თემაზე: „გვშია და გვწყურია", მორატორიუმი გამოვუცხადოთ, საუბრები მწვრთნელებთან მეტად მომაბეზრებელი და უინტერესო გახდა საფეხბურთო თემისგან გადახვევის გამო — ისინი ხომ ყოფით პრობლემებზე უფრო ჩივიან ხოლმე.

გუნდის მეპატრონე მამა-მარჩენალთა უმეტესობას, ჩანს, ვერ გაუსიგრძეგანებია, რა რთულია თუნდაც საშუალო დონის გუნდის შენახვა. რეალობას დაშორებულნი, მასთან პირველივე შეჯახებისთანავე სტოვებენ გუნდს. ალბათ აჯობებდა აეწონდაეწონათ — ძალუძთ თუ არა საქართველოს პირველობას შეჰმატონ ნორმალური პირობებით უზრუნველყოფილი გუნდი. სხვაგვარად, მათი მცდელობა ფუჭი გამოდგება. მაჩანჩალები ხომ პირველ ჯგუფშიც არ გვაკლია.

საქართველოს პირველობა კი, მიუხედავად უფულობისა, უსახსრობისა, ელემენტარული პირობების უქონლობისა — მაინც დაიწყო.

მერაბ მამულაშვილი

II ჯგუფი. პირველი წრის შემდეგ

**დასავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ანჯელი | 19 | 17 | 0 | 2 | 55-14 | 51 |
| სამგურალი | 19 | 16 | 2 | 1 | 54-15 | 50 |
| შუქურა | 19 | 15 | 3 | 1 | 64-15 | 48 |
| მალაროელი | 19 | 15 | 1 | 3 | 45-19 | 46 |
| კახაბერი | 19 | 14 | 0 | 5 | 41-24 | 42 |
| სულორი | 19 | 12 | 1 | 6 | 40-26 | 37 |
| მერცხალი | 19 | 8 | 6 | 5 | 25-18 | 30 |
| მამისონი | 19 | 9 | 2 | 8 | 33-32 | 29 |
| იმერეთი | 19 | 8 | 3 | 8 | 28-28 | 27 |
| კოლხეთი-2 | 19 | 7 | 4 | 8 | 26-23 | 25 |
| რწმენა | 19 | 7 | 2 | 10 | 29-30 | 24 |
| სამეგრელო | 19 | 6 | 4 | 9 | 34-41 | 22 |
| საპოვნელა | 19 | 6 | 4 | 9 | 35-40 | 22 |
| დინამო-2 | 19 | 5 | 6 | 8 | 34-36 | 21 |
| მეშახტე | 19 | 5 | 3 | 11 | 32-33 | 18 |
| სქური | 19 | 5 | 2 | 12 | 23-37 | 17 |
| მარგვეთი-2 | 19 | 5 | 1 | 13 | 22-43 | 16 |
| ჩიხურა | 19 | 4 | 3 | 12 | 27-53 | 15 |
| ნაერიმელა | 19 | 1 | 1 | 17 | 26-85 | 4 |
| ბახმარო | 19 | 0 | 2 | 17 | 19-70 | 2 |

**აღმოსავლეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი-91 | 18 | 13 | 2 | 3 | 57-11 | 41 |
| შსს აკადემია | 18 | 13 | 1 | 4 | 22-19 | 40 |
| დინამო-2 | 18 | 12 | 2 | 4 | 41-16 | 38 |
| აზოტი | 18 | 10 | 6 | 2 | 35-14 | 36 |
| მორკინალი | 18 | 9 | 5 | 4 | 27-14 | 32 |
| არმაზი | 18 | 8 | 7 | 3 | 23-11 | 31 |
| ჭაბუკიანი | 18 | 9 | 2 | 7 | 46-34 | 29 |
| ალგეთი | 18 | 8 | 4 | 6 | 25-26 | 28 |
| უნივერსიტეტი | 18 | 8 | 3 | 7 | 26-24 | 27 |
| ენერგეტიკოსი | 18 | 8 | 3 | 7 | 27-25 | 27 |
| ასკ | 18 | 7 | 3 | 8 | 22-24 | 24 |
| იბერია | 18 | 8 | 0 | 10 | 23-28 | 24 |
| შირაქი | 18 | 5 | 4 | 9 | 17-36 | 19 |
| მრეტები | 18 | 5 | 3 | 10 | 16-23 | 18 |
| კოდაკო | 18 | 4 | 5 | 9 | 22-40 | 17 |
| ყინერი | 18 | 5 | 2 | 11 | 18-42 | 17 |
| ცხინვალი | 18 | 3 | 6 | 9 | 14-21 | 15 |
| თორი | 18 | 2 | 4 | 12 | 15-42 | 10 |
| მესხეთი | 18 | 2 | 2 | 14 | 15-55 | 8 |



# როცა შრომა გადაბრუნდება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რვა წელია, გიორგი ანჩაბაძეს ვადევნებ თვალს და, გამოგიტყდებით, მასზე საკმაოდ მაღალი აზრისა ვარ. ასე მგონია, თუ სრულად გაიხსნა, უთუოდ ეროვნული ნაკრების დონეს მიაღწევს. მაგრამ, დრო გადის და ოდენ ამ აზრის ამარა ვრჩები, რაკიდა ერთი შეხედვით ფლეგმატური ახალგაზრდა მინდორზე ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს — თითქოს უგულოდ, მოვალეობის მოხდის მიზნით თამაშობსო. გოლს გაიტანს, გულიან აღტაცებას არ გამოხატავს, საგოლე მომენტს გააფუჭებს — არც მაშინ იკლავს თავს სხვებივით. გამოცვლიან, ვითომც აქ არაფერიო, უემოციებოდ მიეშურება გასახდელისკენ...

ერთადერთი მატჩი, რომელშიც ანჩაბაძემ გამიმართლა, ესენგეს თასზე „პამირთან" თამაში იყო. მაშინ იყო, რომ ზუსტად ის ანჩაბაძე ვიხილე, როგორსაც ველოდები: გუნდის ნაღდი ლიდერი, რომელსაც თამაშის სადავეები უპყრია, პასებსაც ანაწილებს, ბურთსაც აგორებს, და თუ საჭიროა, თავადაც მიდის კარის დასალაშქრად. პირველი გოლიც გადასარევი გაიტანა: ჰაერში მიიღო ბურთი, ჯერ ერთ მეტოქეს გადაუგდო თავზე, მერე მეორეს და ლამაზი ტრაექტორიით ჩაუშვა ბურთი მეკარის ხელსა და ხარიხას შორის. მთელ ამ ეპიზოდს იმაზე ნაკლები დრო დაახარჯა, რაც ამ მომენტის აღწერის წასაკითხად დაგჭირდათ, თანაც, მთელი ამ ტრიუკის მანძილზე მიწაზე არ დაუშვია... მერე კი „ქალგირისთან" გაიბრწყინა: მეტოქის საჯარიმოს მარცხენა კუთხესთან სამმა ზორბა ლიტველმა შუაში მოიქცია. ამან ერთიმეორეზე ლამაზი ფინტები დაახვავა, „ალყიდან" ბურთიანად გამოძვრა და საჯარიმოში კიდევ ერთი ლიტველის მოტყუების მერე მოცელეს კიდეც. მსაჯმა უნამუსოდ გააგრძელა თამაში. მომდევნო მატჩებში კი ძლივსღა ვცნობდი — ისევ ის ძველებური ფლეგმატური დამოკიდებულება...

— გიორგი, რით ახსნი ასეთ ცვლილებას?

— ძალა აღარ მეყო, სული მეხუთებოდა, საშინელებაა ყოველდღე მანეჟში თამაში, ყოველ შემთხვევაში, მე ასე ვთვლი. ერთი დღე მაინც რომ ყოფილიყო მატჩებს შორის, გარწმუნებ, ფინალს მივაღწევდით.

— შარშან ორივე საზარდულის ოპერაციამ კარგა ხნით დაგასვენა იძულებით. ალბათ, ესეც ვარჯიშებისადმი არასერიოზული დამოკიდებულების შედეგია. თანაც, საზარდულს არაერთი ქართველი ფეხბურთელი გაუმწარებია...

— სხვაზე რა გითხრა, ჩემზე კი იმას გეტყვი, რომ ყველაფერი მართლაც ჩემი ბრალია. როცა ეროვნული ჩემპიონატები დაიწყო, მოხდა ისე, რომ ჩემი ტოლი ბიჭები უგუნდოდ დავრჩით. არადა, მთელი ცხოვრება „დინამოში" მოხვედრაზე ვოცნებობდი, მინდოდა დიდი ფეხბურთი მეთამაშა. მაშინ პოლიტიკურ სიტუაციაში კარგად ვერ ვერკვეოდი, მეგონა, არასდროს მიგვიღებდნენ ფიფაში და უეფაში და ჩვენს ჩემპიონატს ვერ გავცდებოდით. უმიზნობამ ფეხბურთზე გული გამიცია და მაშინ, როცა დღითიდღე ოსტატობის დასახვეწად უნდა მეშრომა და გავძლიერებულიყავი, პირიქით, სულ დავანებე ვარჯიშს თავი, ანაც ისე, უგულოდ ვვარჯიშობდი ხოლმე. მოკლედ, ძვირფასი დრო დავკარგე. მერე, თუ რამე ვითამაშე, ალბათ, ნიჭის ხარჯზე. თამაშის წინაც, სხვათა შორის, უგულოდ ვხურდებოდი, განა შეიძლება ამას არ ემოქმედა? საზარდულებიც ნელ-ნელა ამტკივდა, მაგრამ ყურადღებას არ ვაქცევდი. როცა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ისრაელის ტურნესთვის ვემზადებოდი, უკვე ძლიერ ტკივილს ვგრძნობდი. როცა ტკივილი კიდევ გაძლიერდა, გამაყუჩებელი ნემსებით ვთამაშობდი. ბოლოსდაბოლოს, „ჰამბურგში" რომ ვითამაშე, პირველი მატჩი ასე თუ ისე გავძელი, მეორე თამაშში კი ერთ-ერთი ცრუ მოძრაობის შემდეგ საშინელი ტკივილი ვიგრძენი: მივხვდი, ძალიან ცუდად იყო საქმე. იმავე დღეს, საზარდულები ჩაქცეული სისხლისგან ლამის მთლად გამიშავდა, კაპილარებიც გაწყვეტილიყო. ასე რომ, ოპერაცია აუცილებელი გახდა. ერთია, ნეტავ ადრე გამეკეთებინა.

— შენი გულახდილი საუბარი მაფიქრებინებს, რომ სწორედ ამიტომ ვერ ამბობს ანჩაბაძე თავისი ნიჭის შესაფერ სიტყვას ჩვენს მინდორზე.

— არ ვიცი, ვინ რას ელოდება ჩემგან, მაგრამ, ვფიქრობ, ღმერთმა თუ რაიმე ნიჭი მიბოძა — ფეხბურთელობისაა. სამწუხაროდ, ამას გვიან მივხვდი, ფეხბურთისადმი უგულისყურო დამოკიდებულებამ ჩემი ფეხბურთი არ მათამაშა. არჩევანის წინაშეც კი ვიდექი: ვითამაშო თუ არ ვითამაშო ფეხბურთი? სწორედ მაშინ მივხვდი, როგორ მიყვარს ფეხბურთი და რომ მის გარეშე ჩემს ცხოვრებას აზრი ეკარგებოდა. აი, მაშინ დავფაცურდი და დიდი ჟინითა და ენთუზიაზმით დავიწყე ვარჯიში. ერთი ხანობა, „დინამოს" ვარჯიშების გარდა იპოდრომზეც კარგა გვარიან მანძილზე დავრბოდი.

— როგორ გგონია, აინაზღაურებ დანაკლისს?

— ვფიქრობ, მთლიანად ავინაზღაურებ. ისე, იმ წლებმა ბევრი კი დამაკლო, მაგრამ, მეორე მხრივ, სასარგებლოც გამოდგა: ნათლად დავინახე, რად ვიქეცი და გონს მოვედი. ალალად გეტყვი, ახლა ისევ მიყვარს ფეხბურთი, მზად ვარ ყველაფერი გავიღო საიმისოდ, რომ „ჩემი" ფეხბურთი ვითამაშო. გულის სიღრმეში მეც ვგრძნობ, რომ შემიძლია და ეს სტიმულსაც მაძლევს.

— მეორე წრიდან „დინამოს" ლიდერად თუ მოგვევლინები?

— ყოველ შემთხვევაში, შევეცდები. მე ყველაფერს გავიღებ ამისათვის, მაგრამ თუ არ გამომივიდა, ჩემი ბრალი აღარ იქნება, მიზეზი სხვა ფაქტორები იქნება.

— ბავშვობაში თუ გიყვარდა ფეხბურთი ისე, ახლა რომ მეუბნები?

— ახლა მართლაც ისე მიყვარს ფეხბურთი, ბავშვობაში რომ მიყვარდა. მაშინ დილიდან საღამომდე ქუჩაში ვთამაშობდი, ჩემს გარშემო კი დიდი ამბები ხდებოდა: „დინამო" ჩინებულ ფორმაში იყო და წარმატებას წარმატებაზე აღწევდა, 1981 წელს, თასების თასი რომ მოიგო, სულ გადავირიე და იმავე წლის შემოდგომაზე ნოდარ აკობიასთან მივედი „ნორჩ დინამოელში", მერე ხელაძე და ვაშაკიძე გვწვრთნიდნენ, ფეხბურთელად კი ოთარ გეგეჭკორმა ჩამომაყალიბა. მაშინ მართლაც გუნდი გვყავდა და ყველაფერს ვიგებდით. მოკლედ, ბავშვობაშიც და ახლაც ფეხბურთი ფანატიკურად მიყვარდა და მიყვარს.

— გეგეჭკორის გუნდში შენ და ქინქლაძე ნახევარდაცვაში თამაშობდით, არადა, ორივენი ერთი ამპლუის ფეხბურთელები ხართ. კარგად მახსოვს, ჭაბუკიანში მაშინდელი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში შენ და ქინქლაძე ერთად რომ მოხვდით და ორივენი „დაიკარგეთ", ხან სულ არ სჩანდით, ხანაც ერთმანეთს უშლიდით ხელს. ადრეც ასე იყო?

— არა, ჩვენი მწვრთნელი ოთარ გეგეჭკორი როგორღაც ახერხებდა, რომ ჩვენ ორივეს სარგებლობა მოგვეტანა გუნდისთვის, ორივენი ნახევარდაცვაში ვთამაშობდით და არ მახსოვს, ამით გუნდი დაზარალებულიყოს. ჩემს და გიოს გარდა გუნდში იყვნენ დათო ჯანელიძე, ზვიად პაპიძე, გელა ქორიძე, გურამ ასპინძელაშვილი, ვატო ჭყოიძე. მართლაც კარგი გუნდი გვყავდა.

— ტრაგიკულად დაღუპული მეგობრის ვატო ჭყოიძის მოსაგონებლად ამასწინად საფეხბურთო ტურნირიც მოაწყვე. მომავალშიც აპირებ?

— მე და ჩემმა მეგობრებმა გადავწყვიტეთ, რომ ვატოს და კიდევ ორი ტრაგიკულად დაღუპული ფეხბურთელის — გოჩა სილაგაძისა და ალეკო ბალაშვილის ხსოვნას ყოველწლიურად მივუძღვნათ მოზარდთა ტურნირი. როცა წელში გავიმართებით, მეტ ფინანსებს გავიღებთ და ტურნირს ავტორიტეტს ავუმაღლებთ.

— „ჰამბურგიდან" მას მერე აღარ შეგხმიანებიან?

— არც ჩემთან დაურეკია ვინმეს, არც მერაბ ჟორდანიასთან, მერე გავიგე „ჰამბურგის" მწვრთნელი ბენო მიოლმანიც მოუხსნიათ...

— საცირკო ტრიუკები შენს არსენალში ბავშობიდან მოგდევს?

— რა თქმა უნდა. ქუჩაში მუდამ ლამაზად თამაშს ვცდილობდი, რათა მაყურებლისთვის სიამოვნება მიმენიჭებინა. მერე, როცა ფეხბურთზე მივედი და ნამდვილ გუნდში დავიწყე თამაში, ეს „ტრადიცია" გავაგრძელე. ალბათ ბავშვობიდან გამოყოლილი „მატაობის" შედეგია, მინი-ფეხბურთს კარგად რომ ვთამაშობ. არ მიჭირს მინდვრიდან დარბაზზე გადართვა და პირიქით. არც კოჭი ამტკივნია, არც მუხლები, არც კუნთების დაჭიმვა დამმართვია. ზოგი ფეხბურთელი ვერ ჰგუობს დარბაზში თამაშს და უმალ ტრავმას იღებს. მე კი იდნავ ცვლილებასაც ვერ ვამჩნევ ორგანიზმს დარბაზში თამაშის შემდეგ.

— უცხოეთისაკენ არ მიგიწევს გული შენი მეგობრებივით?

— ჰამბურგში ყოფნისას დავრწმუნდი, რას ნიშნავს იყო ფეხბურთელი საზღვარგარეთ. უცხოეთში თამაშის სურვილი მართლაც დიდი მაქვს, მაგრამ ერთს გეტყვი ალალად: უცხოეთში აღებული თანხის ნახევარზეც კი თანახმა ვარ, ოღონდაც თბილისში ვითამაშო, რა თქმა უნდა, „დინამო" მაქვს მხედველობაში. თბილისი და „დინამო" ისე მიყვარს, უცხოეთში წასვლა, რომ ვერ მოვახერხო, დიდად არ ვინაღვლებ, თუკი „დინამოში" ვითამაშებ. მე სულით, გულით, შინაგანად თბილისელი ვარ.

— შენი საქმე მინდორზე გამთამაშებლობაა. ამ ამპლუის ფეხბურთელი კი „დინამოში" მუდამ ლიდერი იყო. თავის დროზე ყიფიანი, ახლახან — ქინქლაძე. კი მითხარი, უკვე. მაგრამ ბოლოს კიდევ გაგიმეორებ ამ კითხვას: მზად ხარ „დინამოში" სალიდეროდ?

— მზად ვარ და ამაში მეორე წრე დაგარწმუნებს.

მამუკა კვარაცხელია

# ფეხბურთს ვერ ელევა

შაბათ-კვირას მუშტაიდის ბაღთან რომ ვეტერანები იკრიბებიან და თავის ჭიას ახარებენ — ბევრმა იცის. ორიოდ კვირაა, მათ რიცხვს ოთარ კორღალიძეც შეემატა.

— ოთარ, აკი უცხოეთისთვის ემზადებოდი?

— მე კი ვემზადებოდი და ვემზადები, მაგრამ ფლორას პრეზიდენტის პოლაკის პასუხი არ ჩანს. დამპირდა, უეჭველად გაგიხერხებ რომელიმე გუნდსო. ჩემი ასაკის კაცმა, ჰა-ჰა, ერთი სეზონი კიდევ გავქაჩო და მინდა უცხოეთში დავასრულო კარიერა. მერაბ ჟორდანიას და პოლაკის თქმით ყოველდღიური სატელეფონო კავშირები აქვთ და მერაბიც უკიჟინებს: მეგობარი უგუნდოდ არ დამიტოვოო. პოლაკის ჯერჯერობით მხოლოდ დაპირება ისმის. მეც ვემზადები, სათამაშო პრაქტიკა რომ მქონდეს, შაბათ-კვირას დილაობით მუშტაიდის ბაღს ვაკითხავ და ვთამაშობ. სახლში კი, უსაქმურობამ რომ არ მომკლას, კროსვორდებს ვხსნი.

— ერთი პერიოდი მწვრთნელადაც იყავი „ფლორაში". იქნებ მოთამაშე მწვრთნელად მიგიწვიოს პოლაკმა?

— „ფლორაში" არა და, სხვა კლუბში არაა გამორიცხული. ესტონეთში ჩემპიონატი აპრილში იწყება და თუ პოლაკმა სიტყვა არ გატეხა, ალბათ უმალვე გავემგზავრები. თუ არა და, შევეშვები ფეხბურთს.



## იტალია

# გაფიცვა მშრომელთა წინააღმდეგ

— ძლიერ კმაყოფილი ვარ. როგორც იქნა უქმეები ქმართან ერთად გავატარე. ეს ხომ მეტად იშვიათად ხდება, შობაზე ან შუა ზაფხულში — თქვა ირინა ბატისტუტამ.

ირინა საშინელ უმცირესობაშია. მთელი იტალია მისი და მისთანების წინააღმდეგია. წინაალმდეგიო? იტალია გამხეცებულია, გახელებულია. შაბათ-კვირამ ისე გაირა, რომ მსაჯს არ ჩაუსტვენია, ფეხი არავისთვის დაუდიათ, გოლი არ გასულა.

„ჩვენ უკაცრიელ კუნძულზე ვართ" — წერს „ლა რეპუბლიკა" — „ჩვენ, მილიონობით საბრალო რობინზონ კრუზოები."

სოციალურმა გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ ქვეყნის მოსახლეობის 3,6-მა პროცენტმა საერთოდ არ უწყის, თუ მათ ქვეყანაში რაიმე აქცია ტარდება. 47,9 პროცენტს არათუ სმენია გაფიცვაზე, არამედ მისი მიზანი და ყველა ნიუანსი იცის.

„მილანის" ფან კლუბი საპასუხო გაფიცვისთვის ემზადება. მათ განუზრახავთ მომდევნო კვირას ფეხბურთელები შემზარავად ცარიელი ტრიბუნების წინააღმდეგ ათამაშონ.

რადიო და ტელევიზია გაგიჟდნენ. რა ექნათ და „უემბლიდან" ინგლის-იტალიის ყოვლად სულელური თასის მატჩი აჩვენეს და გადასცეს. სერია Ი-ში მოთამაშე „ჯენოა" ინგლისის ქვედაზე ქვედა ლიგის „პორტ ვეილს" ეთამაშებოდა. ჯენოამ მოიგო 5:2.

და გაზეთები? იქ, სადაც ადრე „იუვენტუსის" თუ „მილანის" მატჩების მომენტები იყო ალბეჭდილ-აღწერილი, ახლა თითიდან გამოწოვილი ამბები ეწერა. მოთხილამურე მანუელა და ჩუნტას მსოფლიოს თასზე გამარჯვებას უშავდა, მართლაც ღირშესანიშნავი ამბავი. ვიღაც რობერტო ბაჯოს ჟენის მარათონში მიუღია მონაწილეობა და ეს ამბავიც კი დაწერეს. დახეთ ფეხბურთის მთ ახალ-მოგვარე კაცი რეებსა ხჩადის. დაწვრილებით გამოკითხეს მოთამაშეთა ცოლები და საყვარლები, უქმეები როგორ გაატარეთო. გამოკითხეს მწვრთნელებიც და შეიტყვეს, რომ „სამპდორიას" სვენ-გორან ერიკსონი თურმე ჩოგბურთს თამაშობდა, „ფიორენტინას" კლაუდიო რანიერი კი სახლში დაყიალობდა და ხელსაქმეს ქსოვდა.

— ფეხბურთელების გაფიცვა ეროვნული ტრაგედია სულაც არ არის — სცადა მოსახლეობის დამშვიდება მათი ასოციაციის თავკაცმა და გაფიცვის მამამთავარმა სერჯო კამპანამ, მაგრამ არავინ დამშვიდებულა. პირიქით, უამრავი ადამიანი კამპანას სახელზე ცოფებს ჰყრის. ეს გაბრაზება იმანაც გამოიწვია, რომ იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ანტონიო მატარეზემ განაცხადა, ფეხბურთელთა მოთხოვნებს დავაკმაყოფილებო. ესე იგი, კამპანა და მისი უზნეო, მილიონერი თანამზრახველი ფეხბურთელები ცარიელ კარს ამტვრევდნენ.

გაფიცვა ე.წ. „საგარანტიო ფონდში" ფულის გადარიცხვის მოთხოვნით მოეწყო. ეს ფული ფედერაციას უნდა გადაერიცხა. მილიონერ ფეხბურთელებს „შავი დღისთვის" სჭირდებათ სახსრები.

რაკილა სიტყვა ფულზე ჩამოვარდა, ისიც ვთქვათ, რომ თუკი ვინმემ იზარალა იტალიის ოლიმპიური კომიტეტი იყო. ეს ეოკი ჩემპიონატის ყოველ ტურში ტოტალიზატორს აწყობდა. ნიძლავების დადება ხომ გულშემატკივართა ერთ-ერთი უსაყვარლესი საქმიანობაა. ჰოდა, ტურის ჩავარდნის გამო კომიტეტმა 39 მილიონი დოლარი იზარალა.

ვისთვის 39 მილიონია ზარალი, ვისთვის კი ნაკლები. უკმაყოფილონი დარჩნენ სტადიონებთან მდებარე წვრილ-წვრილი დუქნების პატრონებიც. ფეხბურთის დღეს მათი შემოსავალი ხომ იზრდებოდა.

ასე და ამგვარად იტალიაში ოდესმე მოწყობილ გაფიცვათა შორის, ფეხბურთელთა გუშინწინდელი აქცია ერთ-ერთი ყველაზე უშნო და უადგილო გამოდგა. გულშემატკივრები, მოგეხსენებათ, უსაქმურები და ყალთაბანდები არ არიან. ჩვეულებრივი ხალხია, მთელი კვირა სამსახურებში რომ მუშაობენ (ფეხბურთელებზე არანაკლებს) და უქმეზე სტადიონზე წასვლა გულს რომ უხარებთ. თანაც ფეხბურთელები ამ მშრომელ ხალხზე უამრავჯერ მეტს იღებენ. ამიტომაც გამოიწვია გაფიცვამ სოციალური აღშფოთება.

„მივესალმები იტალიელი კოლეგების ვაჟკაცობას" — ოკეანის გაღმიდან ხმა მიაწვდინა აპენინის ნახევარკუნძულზე დიეგო მარადონამ.

მარადონას რა ენაღვლება. აი, „იუვენტუსის" პრეზიდენტის ჯოვანი ანიელის კმაყოფილება გასაგებია.

— ძალიან კარგი და დროული იყო გაფიცვა — თქვა მან — ნამდვილი რამადანი გამოვიდა.

ანიელის, ცხადია, აწყობდა თავისი ბიჭების დასვენება. ოთხშაბათს „იუვეს" ჩემპიონთა თასის მეოთხედფინალის საპასუხო მატჩი ელის მადრიდის „რეალთან". „ბებერმა ქალბატონმა" ძალები დაზოგა, ერთი ისე-რა ამხანაგურიც ითამაშა მესამე დივიზიონის „კარარეზესთან" და წააგო.

ასე თუ ისე, გაფიცვა მოეწყო. გამოტოვებულ ტურს 19 აპრილს, ოთხშაბათს ითამაშებენ. პრობლემებიც, როგორც ჩანს, მოგვარდება, თუმცა, თუ არ მოგვარდა, საერთო-სახალხო არჩევნების დღეს, 21 აპრილს გავიფიცებითო, დაიმუქრნენ ფეხბურთელები.

თუ მართლა ასე მოიქცევიან, ქომაგებმა, შესაძლოა, მძაფრი საპასუხო აქცია მოაწყონ.

## რუსეთი

# ქართველებმა გოლების გატანა დაიწყეს

რუსეთის ჩემპიონატში მესამე ტური ჩატარდა. ის ჩვენთვის იმით იყო აღსანიშნავი, რომ ქართველებმა პირველი ორი უგოლო ტურის შემდეგ გოლების გატანა დაიწყეს. თუმცა მივყვეთ თანმიმდევრობას.

### ალანია 4:1 ტორპედო

„სპარტაკ-ალანიამ" საკუთარ მოედანზე მესამე მატჩიც მოიგო და უკვე მეორედ დიდი ანგარიშით, თანაც ვლადიკავკაზელებმა ჯერჯერობით თავისი საუკეთესო თამაში უჩვენეს. მშვენივრად მოერგო გუნდს გოჩა ჯამარაული, რომელიც თანდათან გუნდის ერთ-ერთი მთავარი ფიგურა ხდება. ანგარიში ბახვა თედეევმა გახსნა. შემდეგ ვლადიკავკაზელებმა ჯარიმა გაითამაშეს და საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი შელიამ თავით საჯარიმოს ცენტრში შეაგდო, ამას კიდევ ორი თაური მოჰყვა და ბურთი „ტორპედოს" კარში აღმოჩნდა: გოლი აკაევმა გაიტანა. მეორე ტაიმში გაზაევმა სულეიმანოვი და კარგი ხნის უთამაშებელი კანიშჩევი შემოიყვანა. 71-ე წუთზე სწორედ კანიშჩევმა გაიტანა მესამე გოლი. მეოთხე ბურთი კვლავ თედეევმა შეაგდო. მატჩის მიწურულს ტორპედოელმა კაზოლცევმა ერთი საპასუხო გოლი გაიტანა. პირველი შთაბეჭდილება ისეთია, რომ ოსები შარშანდელზე უფრო უკეთესად, თავის თავში დაჯერებულნი გამოიყურებიან, თუმცა აღსანიშნავია, რომ მათ ჯერჯერობით ყველა მატჩი შინ ითამაშეს.

### ლოკომოტივი 0:2 სპარტაკი

„სპარტაკმა" მოიგო და მცირე იმედი ჩაუსახა თავის გულშემატკივრებს, რომ იქნებ „ნანტთან" ყველაფერი კეთილად დამთავრდეს. პირველ ტაიმში უფრო „ლოკომოტივი" უტევდა, თუმცა რაც ჩემპიონატი დაიწყო, ის სულ უტევს, ოღონდ არავითარი შედეგი ამ შეტევებს არა აქვს — სამი მატჩი და არც ერთი გატანილი გოლი. „სპარტაკმა" კი გაიტანა. პირველი გოლის გატანისას შესანიშნავად ითამაშა კეჩინოვმა, რომელმაც ერთი მოძრაობით დაიმორჩილა ბურთი, მეორეთი ორი მეტოქე მოატყუა და დაარტყა. ბურთი ზედა ძელს მოხვდა და „ლოკომოტივის" მეკარე ოვჩინნიკოვს რომ ეგონა, გადავრჩიო, ალეინიჩევმა ძელიდან ასხლეტილი ბურთი ბადეში გაახვია. მეორე გოლი კი „სპარტაკში" „ალანიიდან" გადასულმა გორლუკოვიჩმა გაიტანა თავით, მაღალ ნახტომში. მსაჯმა გუნდები 8-ჯერ გააფრთხილა.

### ზენიტი 1:0 ურალმაში

„ზენიტი" გამუდმებით, მაგრამ არც ისე აზრიანად უტევდა, თუმცა გამარჯვებას მაინც მიაღწია. გოლი თამაშის დამთავრებამდე 4 წუთით ადრე კულიკმა გაიტანა.

### ცსკა 2:0 ნოვგოროდი

არმიელებმა ძალიან მალე, 22-ე წუთისთვის მიაღწიეს ორბურთიან სხვაობას, შემდეგ კი მატჩი უფერულად წარიმართა. კვლავ ბევრი ხვდებოდა ფეხებში არმიელთა ახალგაზრდა ლიდერს რადიმოვს. გოლები კი მან და გერასიმოვმა გაიტანეს.

### ლადა 1:1 ტექსტილშჩიკი

ტოლიატელები ბევრს უტევდნენ, მაგრამ გოლი მხოლოდ 79-ე წუთზე გაიტანეს. ეს ვასილ სეფაშვილმა შეძლო შორიდან ძლიერი დარტყმით, მაგრამ „ლადამ" 10 წუთიც ვერ გაძლო: გაგლოევმა გაქვითა ანგარიში.

### ჟემჩუჟინა 3:3 როსტსელმაში

ეს ყველაზე უხვგოლიანი მატჩი იყო და ამასთან, ყველაზე ნერვიული. სოჭელები სამჯერ დაწინაურდნენ, მაგრამ ლევაძის თანაგუნდელებმა სამჯერვე გაქვითეს ანგარიში. ბოგატირიოვის გოლი მასლოვმა გაქვითა. შემდეგ ექსსამტრედიელმა იონანიძემ 2-ჯერ გაიყვანა წინ თავისი გუნდი, მაგრამ ორივე მის გოლს უპასუხეს: — მეორეს გრადილენკომ და მესამეს მასლოვმა.

### როტორი 1:1 კრილია

გათამაშების ერთ-ერთი ფავორიტი „როტორი" სტარტზე ძალზე მძიმედ თამაშობს და ქულებსაც კარგავს. ვერეტენიკოვი და ნიდერგაუსი, რომელთაც შარშან ბევრი გუნდი გაამწარეს, ვერაფრით შევიდნენ ფორმაში. ის კი არა და „როტორს" შეეძლო წაეგო კიდეც მას შემდეგ, რაც სამარელმა მინაშვილმა ანგარიში გახსნა, მაგრამ მისივე თანაგუნდელმა მაკეევმა საკუთარ კარში ძალზე უაზრო გოლი გაიტანა და მოწინააღმდეგე მარცხს გადაარჩინა.

### ჩერნომორეცი 4:1 კამაზი

კამაზმა მესამე თამაში წააგო და, რა თქმა უნდა, ბოლო ადგილზეა, თუმცა მისი თამაში ურიგო შთაბეჭდილებას არ სტოვებს და ალბათ, როცა ისინი შინ დაიწყებენ თამაშს, ქულებიც შეემატებათ. კამაზში მორიგეობით ხან ჯიშკარიანი გამოირჩევა, ხან გაბისკირია. ახლაც ჯიშკარიანმა ითამაშა კარგად. „ჩერნომორეცმა" ანგარიში პენალტის შემდეგ გახსნა. შემდეგო, იმიტომ აღვნიშნეთ, რომ კამაზის მეკარემ პენალტი მოიგერია, მაგრამ განმეორებითი დარტყმა — ვეღარ. ამის შემდეგ კი მასალიტინმა ჩემპიონატის პირველი ჰეთ-თრიკი შეასრულა. 4:0-ის შემდეგ კი კამაზის მცველმა ვარლამოვმა ჯარიმით ერთი გოლით შეამცირა სხვაობა.

### ბალტიკა 0:0 დინამო

გუნდებმა დიდხანს და მონდომებით ირბინეს ერთმანეთის კარისკენ, სამატოვმა („დინამო") ბურთი ძელსაც მოარტყა, მაგრამ მათი ძალისხმევა ფუჭი აღმოჩნდა.

საინტერესოა, რომ სამ ტურში 13 პენალტი დაინიშნა და მხოლოდ ხუთის გატანა მოხერხდა.

## გერმანია

23-ე ტური. ვერდერი — ფრაიბურგი 0:2; კიოლნი — მიუნხენი 2:0; ბაიერნი — კაიზერი 2:0; აინტრახტი — ლევერკუზენი 1:1; შალკე — ურდინგენი 1:1; შტუტგარტი — დორტმუნდი 0:5; ზანკტ პაული — გლადბახი 0:2; ფორტუნა — კარლსრუე 2:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დორტმუნდი | 22 | 14 | 6 | 2 | 54:25 | 48 |
| ბაიერნი | 23 | 15 | 2 | 6 | 51:30 | 47 |
| გლადბახი | 22 | 11 | 4 | 7 | 35:35 | 37 |
| შალკე | 22 | 8 | 9 | 5 | 26:26 | 33 |
| ჰამბურგი | 21 | 8 | 8 | 5 | 36:30 | 32 |
| შტუტგარტი | 22 | 8 | 8 | 6 | 43:41 | 32 |
| ფრაიბურგი | 23 | 8 | 6 | 9 | 21:26 | 30 |
| ჰანზა | 20 | 7 | 8 | 5 | 32:26 | 29 |
| ლევერკუზენი | 20 | 6 | 10 | 4 | 23:16 | 28 |
| მიუნხენი | 23 | 7 | 7 | 9 | 33:36 | 28 |
| კარლსრუე | 23 | 6 | 8 | 9 | 30:35 | 26 |
| აინტრახტი | 23 | 6 | 8 | 9 | 34:40 | 26 |
| ვერდერი | 23 | 5 | 11 | 7 | 23:29 | 26 |
| კიოლნი | 22 | 4 | 11 | 7 | 21:24 | 23 |
| ზანკტ პაული | 22 | 5 | 7 | 10 | 28:35 | 22 |
| ფორტუნა | 23 | 4 | 10 | 9 | 22:38 | 22 |
| კაიზერი | 22 | 3 | 11 | 8 | 20:30 | 20 |
| ურდინგენი | 22 | 2 | 10 | 10 | 18:32 | 16 |

## ესპანეთი

31-ე ტური. ბარსელონა — კომპოსტელა 1:0; რეალი — ალბასეტე 2:0; ატლეტიკი — ვალენსია 0:1; ბეტისი — სალამანკა 4:0; ოვიედო — ტენერიფე 1:3; რაიო ვალეკანო — სოსიედადი 2:0; სარაგოსა — სანტანდერი 1:2; ვალიადოლიდი — ხიხონი 1:0; დეპორტივო — სევილია 3:2; სელტა — ესპანიოლი 4:2; მერიდა — ატლეტიკო 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლეტიკო | 31 | 21 | 5 | 5 | 55:20 | 68 |
| ბარსელონა | 31 | 17 | 9 | 5 | 53:26 | 60 |
| ვალენსია | 31 | 18 | 4 | 9 | 57:39 | 58 |
| ესპანიოლი | 31 | 15 | 9 | 7 | 44:28 | 54 |
| ბეტისი | 31 | 14 | 11 | 6 | 47:32 | 53 |
| კომპოსტელა | 31 | 16 | 5 | 10 | 42:39 | 53 |
| ტენერიფე | 31 | 14 | 9 | 8 | 54:43 | 51 |
| რეალი | 31 | 14 | 8 | 9 | 59:43 | 50 |
| სოსიედადი | 31 | 13 | 8 | 10 | 41:40 | 47 |
| დეპორტივო | 31 | 12 | 9 | 10 | 51:30 | 45 |
| სელტა | 31 | 9 | 11 | 11 | 33:37 | 38 |
| სანტანდერი | 31 | 9 | 10 | 12 | 34:49 | 37 |
| სარაგოსა | 31 | 9 | 9 | 13 | 37:45 | 36 |
| ოვიედო | 31 | 9 | 8 | 14 | 34:46 | 35 |
| ატლეტიკი | 31 | 8 | 10 | 13 | 30:43 | 34 |
| სევილია | 31 | 8 | 10 | 13 | 30:43 | 34 |
| ვალეკანო | 31 | [illegible] | 7 | 15 | 35:52 | 34 |
| ვალიადოლიდი | 31 | 8 | 8 | 15 | 39:49 | 32 |
| ხიხონი | 31 | 8 | 6 | 17 | 36:44 | 30 |
| ალბასეტე | 31 | 7 | 9 | 15 | 41:59 | 30 |
| მერიდა | 31 | 5 | 12 | 14 | 24:43 | 27 |
| სალამანკა | 31 | 5 | 9 | 17 | 39:59 | 24 |

# შაშლიკი, მუმია, პელე, ზიკო და მისთანანი

ბონა, ბაჯბაჯა, ჯაგა, სკილეტა, კიჭები — ამ მეტსახელებს ქართველი ფეხბურთის გულშემატკივრისთვის განმარტება არ სჭირდება. თიკუნებით შემკობა მხოლოდ ქართული ტენდენცია როდი ყოფილა. აქ გთავაზობთ ბუნდესლიგაში მოთამაშე ფეხბურთელმა და მწვრთნელთა მეტსახელებს, რომელიც „შპორტ-ბილდმა" გამოაქვეყნა.

ვლადიმერ ბესჩასტნიხი (ბრემენის „ვერდერი") — „შაშლიკი". რადგანაც ბესჩასტნიხის გამოთქმა თანაგუნდელებს უჭირთ.

მირკო ვოტავა (ბრემენის „ვერდერი") — „ოტცი". ამავე სახელწოდების მუმიის გამო შეარქვეს, რომელიც ავსტრიაში იპოვეს. ვოტავა თავის 39 წლით ყველაზე უხუცესი ფეხბურთელია ბუნდესლიგაში.

ფელიქს მაგათი („ჰამბურგის" მწვრთნელი) — „ნუგათი", რადგანაც ნუგათი მაგათს ერითმება.

მარტინ დალინი (მიონხენგლადბახის „ბორუსია") — „ო. ჯეი.", რადგანაც ო. ჯეი სიმფსონს წააგავს.

ალტინ რაკლი („ჰერტა") — „რუდი", რადგან ჰგავს რუდი ფიოლერს.

მარტინ კრეე (დორტმუნდის „ბორუსია") — „ტურბო". გიჟდება „პორშეს" ფირმის მანქანებზე.

ალექსანდერ ციკლერი (მიუნხენის „ბაიერნი") — „ზიკო", რადგან ძალიან შორსაა ბრაზილიის ნაკრების ყოფილი წევრის, ზიკოსაგან, ტექნიკური დონით.

ანდრეას ნოენდორფი (ლევერკუზენი) — „ცეკე", რაც კიბოს ნიშნავს. საწვრთნელ ბანაკში მას კიბომ უკბინა.

ბენჰარდ ტრარესი (მიუნხენ 1860) — „ტრალალა". პეტერ პაკულტმა შეარქვა ეს მეტსახელი, რადგან ის ხშირად ენას კბილს არ აჭერს.

გერი ერმანი (კაიზერსლაუტერნი) — „ტარზანი", რადგანაც ხშირად სტუმრობს ძალოსნობის დარბაზს და ტარზანივით ტანი აქვს.

იური სავიჩევი (ზანქტ პაული) — „სმირნოვი". ეტანება მშობლიური წარმოების არაყ „სმირნოვს".

კლაუს-დიტერ ვოლიცი (კაიზერსლაუტერნი) — „პელე". ექვსი წლის ასაკიდან ატარებს ამ მეტსახელს.

როდოლფო კარდოსო (ბრემენის „ვერდერი") — „პელუ". პელუ ესპანურად ხუჭუჭას ნიშნავს. ბაბუამისმა ეს სახელი მისი ხუჭუჭი თმის გამო შეარქვა.

ოლაფ ტონი (შალკე) — „პროფესორი", რადგანაც განსწავლული კაცივით ლაპარაკობს.

სევერინო პუსიჩი (დიუსელდორფი) — „რემბრანდტი". მხატვრებივით თავზე ბერეტი ახურავს ხოლმე.

სანდი ოლისე (კიოლნი) — „მონთაგი", რაც ქართულად ორშაბათს ნიშნავს, ფეხბურთელის სახელი სანდი კი კვირა გახლავთ.

შტეფან ბენეკინგი (ფრაიბურგი) — „კინგ ბენე", ავარია შეფრიალებული და ქართულად „მეფე-ბენეს" ნიშნავს.

მათიას ზამერი (დორტმუნდი) — „მოცა", რაც ქართულად ნიშნავს.

ანდრე ტრულსენი (ზანქტ პაული) — „ქუხენ", რაც „ნამცხვარაა" ჩვენებურად. ფეხბურთელის ნამცხვრებისადმი სისუსტე მთელს ბუნდესლიგაშია ცნობილი.

რალფ კოლი (ფრაიბურგი) — „კანცლერ" მოგვარე ჰელმუტ კოლის გამო.

მარკ შვარცერი (კაიზერსლაუტერნი) — „კენგურუ". წარმოშობით ავსტრალიიდანაა.

ზლატკო იანკოვი (უერდინგენი) — „ხრისტო" მისი თანამემამულე ხრისტო სტოიჩკოვის გამო.

ოტო რეჰაგელი (ბაიერნის მწვრთნელი)



ვოტავა და მისი „სეხნია" მუმია

— „პირშნიზელ". „რეჰ" ქართულად ანტილოპაა, „პირში" — ირემი. ჰაგელი — კარტეჩია, ნიზელი კი საფანტი. ეს სახელი მწვრთნელს მეპმეთ შოლმა მოუგონა.

ჰანს-იურგენ დიორნერი (ვერდერის მწვრთნელი) — „დიქსი". ახალგაზრდობაში თანაგუნდელს დაუძახია მისთვის: „შენ „დიქსივით" ზანტი ხარო". „დიქსი" მანქანების ფირმა BMW-ს ერთ-ერთი პირველი მანქანის სახელია.

ერან ალბაირაკი (ბრემენი) — „ერჰარდ ალბრეხტი". სახელის და გვარის გერმანული თარგმანია.

კრისტიან დოლბერგი (კიოლნი) — „ენანო". ენანო ესპანურად ჯუჯას ნიშნავს, დოლბერგის სიმაღლე კი 197 სმ-ია.

ბოდო ილგნერი (კიოლნი) — „ბრიუსი", რადგანაც მოსწონს როკ-მომღერალი ბრიუს სპრინგსტინი.

თომას ფოგელი (ფრაიბურგი) — „ბერდ". ინგლისურად ბერდ ჩიტია, ფოგელ კი ასევე ჩიტია, ოღონდ გერმანულად.

ჰაიკო ჰერლიხი (დორტმუნდი) — „ავარელ". მისი წინწამოწეული ნიკაპი მულტფილმ „ლაქი-ლაქი კომიქსის" ერთ-ერთ გმირს გვაგონებს.

თომას ბრდარიჩი (დიუსელდორფი) — „ბრრ". ძალიან რთულად გამოსათქმელი გვარის გამო.

ული ბოროვკა (ვერდერი) — „დიქერ", რაც „სქელოს" ნიშნავს. ასე მიმართავდა ხოლმე მისი ყოფილი მწვრთნელი ოტო რეჰაგელი ფეხბურთელს, როცა ის საზაფხულო არდადეგებიდან ბრუნდებოდა.


საფეხბურთო ტოტალიზატორი

ლაპლას-ტოტო

ყურადღება!

იმის გამო, რომ იტალიის ჩემპიონატის გასული ტური ფეხბურთელთა გაფიცვის გამო არ ჩატარდა და მოსალოდნელია წინასწარ დადგენილი განრიგის შეცვლა, ამ შაბათ-კვირას (23-24 მარტს) 23-ე ტირაჟი არ გაიმართება. გაზეთ „7 დღეში" გამოქვეყნებული 23-ე ტირაჟის მატჩების სია ანულირებულია. 24-ე ტირაჟი ჩაითვლება 22-ის მომდევნო ტირაჟი.

№21 ტირაჟის შედეგები

1. 0-1 2. 4-0 3. 2-1 4. 1-1 5. 0-2 6. 4-1 7. 3-0

მოგებები: ხუთი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. ექვსი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. შვიდი მატჩი — ვერავინ გამოიცნო. სრული JACK POT შესაბამისად, 420, 1370 და 3000 ლარი გადადის შემდეგ ტირაჟში. სარეზერვო ფონდი 560 ლარი.

ბილეთები იყიდება მეტროს სადგურებთან (ში): დელისი, პოლიტექნიკური, მარჯანიშვილი, ახმეტელი, სამგორი. ბილეთების (2 ვარიანტი) ფასი 30 თეთრი.

მოგება გაიცემა მისამართზე: ხეთაგუროვის 2, მესამე სართ. ფირმა „ესკიზი" (11.00-დან 14.00 სთ-მდე). თან იქონიეთ პასპორტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# «ბოლტონი» «მანჩესტერ სიტის» ემუქრება

## ინგლისი

„ქუინზ პარკს" სეზონის უდიდეს გამარჯვებამდე წამებილა აკლდა. ცხრილში ბოლოსწინა ადგილზე მყოფი გუნდის მოთამაშეებმა ფიზიკური და მორალური ენერგია მთლიანად შეალიეს „მანჩესტერ იუნაიტედთან" ბრძოლას. 90 წუთი რომ ამოიწურა, 1:0-ს იგებდნენ კიდეც, მაგრამ მსაჯი რობი ჰართი არა და არ ამთავრებდა შეხვედრას. გადაცდა ერთი წუთი, ორი, სამი... რაიან გიგზმა სწორად შეაფასა სიტუაცია, ბურთი ისე ჩაჰკიდა, რომ მეკარე სომერს გადაევლო და ერიკ კანტონამ მასპინძლებს ცივი წყალი გადაასხა. ეს გოლი ფრანგი ფორვარდისთვის ბოლო 13 შეხვედრაში მეცხრე იყო. მართალია წაგებას სჯობდა, მაგრამ როგორც „ქუიზ პარკს", ასევე „მანჩესტერ იუნაიტედს" ფრე მაინც არ აძლევდა ხელს. მასპინძლები, როგორც თავშივე ვთქვით, ყველა ღონეს ხმარობენ, რომ პრემიერლიგიდან გავარდნას გადარჩნენ, სტუმრები კი ჩემპიონის ტიტულისთვის იბრძვიან. ახლა მანჩესტერელებმა ცხრილში საოცნებო პირველ ადგილზე გადაინაცვლეს და კევინ კიგანის „ნიუკასლი" სექტემბრის მერე პირველად მეორეზე დასწიეს, მაგრამ საეჭვოა ეს პოზიცია მტკიცედ შეინარჩუნონ.

— მსაჯმა ლამის „წმინდა დრო" გვათამაშა — აღშფოთებას ვერ მალავდა მატჩის მერე „ქუინზ პარკის" მწვრთნელი რეი უილკინსი — კანტონას გოლმა კი ეიფორია ჯერ გაცოფებით, შემდეგ კი პირწმინდა დეპრესიით შეგვიცვალა.

უილკინსმა იმ დღეს თავის ბიჭებს ორი განსხვავებული ტაიმი ჩაატარებინა. პირველში სამი თავდამსხმელი გაიყვანა მოედანზე და ამით საკუთარ მეკარეს საშინელი დღე აყარა. ბარაქალა სომერის ვაჟკაცობას, გოლი რომ არ გაუშვა. მეორეში ენდრიუ იმფის მარჯვენა ფრთა გადაულოცა და 63-ე წუთზე დენის ირვინს საკუთარ კარში გაატანინეს გოლი, თუმცა მერე რაც მოხდა თქვენთვის ცნობილია.

„მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელს ალექს ფერგიუსონს კი იმდღევანდელ შეცდომად წინა შეხვედრასთან შედარებით შემადგენლობის შეცვლა ჩაუთვალეს. ანდაზაა ასეთი: გამარჯვებულ შემადგენლობას არ ცვლიანო. ფერგიუსონმა ნიკი ბათი და ლი შარპი დაასვენა...

„ლივერპულის" მწვრთნელი როი ევანსი კი შემადგენლობის შეცვლას არ აპირებდა, მაგრამ მოუწია. გასული კვირის შუაში ფილ ბებმა ტრავმა მიიღო და ევანსი იძულებული შეიქნა, „ჩელსისთან" შეხვედრაში, ბოლო რვა მატჩში პირველად გაეყვანა მოედანზე განსხვავებული შემადგენლობა. სტუმრების მწვრთნელს გლენ ჰოდლსაც მოუხდა იმპროვიზირება. მისი ფეხბურთელებიდან მწყობრში არ იყო რუუდ გულიტი, რომელიც გრიპმა ლოგინად ჩააგდო.

ლივერპულელებმა ლონდონელებს 2:0 მოუგეს. ახლა მათ 19 თამაშია არ წაუგიათ, „ჩელსიმ" კი ბოლო 7 მატჩში მხოლოდ ერთხელ გაიმარჯვა. წითელფორმიანთაგან, ბუნებრივია, სტივ მაკმანამანი და სტენ კოლიმორი გამოირჩეოდნენ. 53-ე წუთზე ჯონ სკეილზმა კარგად ითამაშა, ბურთი შეინარჩუნა და იგი ჯონ ბარნსს გადააწოდა, რომელმაც რაიტს გადაუგდო, რაიტმა კი ანგარიში გახსნა. ცხრა წუთში კოლიმორმა ჯეისონ მაკატირს გადააწოდა, მან გამოზომილად გადაუგდო ბურთი რობი ფაულერს, ხოლო ფაულერმა, ლიგაში მეასედ რომ თამაშობდა, სეზონის 25-ე გოლი შეაგდო.

„ბოლტონი" ნაღდად გავარდნილია, მაგრამ ფეხბურთელებს ამის თქმას ვერავინ უბედავსო, ხუმრობენ ინგლისელები. ხუმრობა ხუმრობად, „ბოლტონი" კი ადგა და „ქოვენთრის" სტუმრად 2:0 მოუგო. ეს მოგება მისთვის სტუმრად მესამე იყო მიმდინარე სეზონში.

— ბრძოლა გრძელდება. ჩვენგან არაფერს მოითხოვენ, ამიტომაც ფსიქოლოგიური წნეხისგან თავისუფალნი ვართ. ბიჭები ლაღად და კარგად თამაშობენ. მომდევნო სამი თამაში „ტოტენჰემ ჰოთსპურთან", „შეფილდ უენსდეისთან" და „მანჩესტერ სიტისთან" შინ გვიწევს და ეჭვი არ არის, მათთანაც წარმატებებს მივაღწევთ. — თქვა აუტსაიდერთა მწვრთნელმა კოლინ ტოდმა — დღევანდელი ორი გოლის ავტორს ალან სტაბსს ცენტრალური მცველობა ურჩევნია, არადა ხუთი თუ ექვსი შეხვედრა ნახევარმცველად ვათამაშებ. რას იზამ, გუნდისთვის ასეა საჭირო. მის გარდა კიდევ მყავს რამდენიმე ფეხბურთელი, რომელთაც ასევე უცნობ ამპლუაში უწევთ მოქმედება, თუმცა თანდათან ყველაფერი კარგად გვეწყობა.

„ქოვენთრის" მწვრთნელი რონ ატკინსონი კი შეუძლებელია თავისი მცველებითა და მეკარით იყოს კმაყოფილი. პირველი გოლი მისი გუნდის კარში 66-ე წუთზე გავიდა. კუთხური სკოტ სილერზმა ჩააწოდა, სტაბსის დარტყმა ძლიერი, დაბალი და ზუსტი იყო. სამ წუთში სტაბსმა კვლავ დაბლა დაარტყა. „ქოვენთრის" მეკარე ამ გოლის გამო ბრალს ვერავის დასდებს: ყოველგვარი პრეტენზია საკუთარ თავს უნდა წაუყენოს.

„უიმბლდონს" შვიდი თამაშის განმავლობაში არ წაუგია, მაგრამ ეწვია „არსენალი" და სამი უპასუხო გოლი შეუგდო. ლონდონური დერბი იმით იყო საინტერესო, რომ მოედანზე, სამი გაცდენილი თამაშის შემდეგ, გამოჩნდა იან რაიტი. „არსენალის" ეს ფეხბურთელი, მოგეხსენებათ, გუნდიდან წასვლას ლამობდა, მაგრამ ახლა ვნებათაღელვა ჩაცხრა. „უიმბლდონთან" მატჩში თავი გამოიჩინა დევიდ პლატმა. ვეტერანმა დაადასტურა, რომ კვლავ კარგ ფორმაშია. მან გოლიც გაიტანა, პირველი 13 იანვრის შემდეგ. შეხვედრის ბედი კი ოთხ წუთში გადაწყდა. მეორე ტაიმი მიმდინარეობდა, 61-ე წუთი, როდესაც დენის ბერხკამპის წინააღმდეგ კრის პერიმ წესი დაარღვია. მსაჯი უეჭველად პენალტს დანიშნავდა, ნაიჯელ ვინთერბურნს შეტევა გოლით რომ არ დაეგვირგვინებინა. მასპინძლებს ხელად შეეძლოთ გაქვითვა, მაგრამ დინ ჰოლდსვორსი თამაშგარეში აღმოჩნდა. 65-ზე პლატმა საჯარიმოს მისადგომებიდან დაარტყა და გამარჯვებულის ვინაობა იმთავითვე ნათელი გახდა. საფინალო სასტვენამდე 7 წუთით ადრე ბერხკამპმა ივარგა. მისი მარჯვენა ფეხით დარტყმული ნეილ სალივანის კარის ბადეში შევარდა.

ლონდონშივე „ტოტენჰემმა" „ბლექბერნს" უმასპინძლა და თუმცა ორი გოლი გაიტანა, მრისხანე ალან შირერის წინააღმდეგ ვერაფერი გააწყო. „ბლექბერნის" ფორვარდმა ჰეთ-თრიკი შეასრულა. მე-8 წუთზე გატანილ პენალტსა და 34-ზე შეგდებულს მან მსაჯის მიერ დამატებულ დროში მესამეც დაამატა და თითქოსდა ნაღდი ფრე, მოგებად აქცია.

— ისეთი არაფერი მომხდარა. შირერმა ჩვეულებრივად ითამაშა, მას რომ სჩვევია ისე — განაცხადა მატჩის შემდეგ მწვრთნელმა რეი ჰარფორდმა, აქაოდა ჩემი თავდამსხმელისთვის სამი გოლის გატანა არაფერიაო. „ტოტენჰემის" მარცხი კი იქნებ ტრავმების ბრალიც იყო. მასპინძლებს გერი მაბატიც აკლდათ და ავადმყოფმა კოლინ კოლდერვუდმაც მოედანზე მხოლოდ 20 წუთი გაძლო.

### მიდლსბრო 1:1 ნოტინგემი

29 392 მაყურებელი

მიდლსბრო: უოლში, კოქსი, პირსონი, ვაითი, ბარმბი, ფოლოქი, პენდრი, მასთოუ, ფლემინგი, ჟუნინიო, ბრანკო

ნოტინგემი: ქროსლი, ლითლი, პირსი, კუპერი, ჩეთლი, ფილიფსი, კემპბელი, ჯემილი (პაუი 78), ბარტ-ვილიამსი, მაკგრეგორი, ალენი

გოლი: ალენი (56), მასთოუ (57)

გაფრთხილება: ვაითი, ფოლოქი, ბრანკო, კუპერი, ჯემილი, პაუი, ალენი

### ქუინზ პარკი 1:1 იუნაიტედი

18 817 მაყურებელი

ქუინზ პარკი: სომერი, ბერდსლი, ბრევეთი, მაკდონალდი, იეითსი, ბარკერი, პოლოვეი, ქოში (იმფი 46), დიჩიო (პეიტლი 80), გალენი (რიდი 84), სინქლერი

მანჩესტერ იუნაიტედი: შმეიხელი, მეი (ბათი 73), ირვინი, ბრუსი, ნევილი, მაკკლეირი (სქოულზი 58), კინი, ბექემი (შარპი 73), გიგზი, კანტონა, კოული

გოლი: ირვინი (63, საკ. კარში), კანტონა (90)

გაფრთხილება: იეითსი, ბარკერი, დიჩიო, მეი, კოული

### შეფილდი 2:0 ასტონ ვილა

22 964 მაყურებელი

შეფილდი: ვუდსი, პემბრიჯი (პაიდი 77), ნიკოლი, პირშტი, შერიდანი (კოვაჩევიჩი 88), დეგრიზი, ბლინკერი, უოქერი, ნიუსამი, ვითინგემი, ბრისქო

ასტონ ვილა: ბოზნიჩი, ჩარლზი, რაითი, ეპიოგუ, მაკგრათი, შიმეკა (იოახიმი 68), დრაპერი, თაუნსენდი, ქარი, იორკი, მილოშევიჩი

გოლი: ვითინგემი (58), პირშტი (87)

გაფრთხილება: შერიდანი, ვითინგემი, ეპიოგუ, ქარი

### ტოტენჰემი 2:3 ბლექბერნი

32 387 მაყურებელი

ტოტენჰემი: უოქერი, ოსტინი, ედინბურგი, პაუელზი, ქოლდერვუდი (ქანდი 20), ნესერქოთი, ფოქსი, ვილსონი, სინტონი, შერინგემი, არმსტრონგი

ბლექბერნი: ფლაუერსი, კოულმენი, კენა, პენდრი, გალაჰერი, შირერი, ნევილი, მარკერი, ფენტონი (სატონი 86), მაკკინლი, ბერგი

გოლი: შირერი (8 პ, 34, 90), შერინგემი (62), არმსტრონგი (80)

გაფრთხილება: არმსტრონგი, ქანდი, მაკკინლი

### უიმბლდონი 0:3 არსენალი

18 335 მაყურებელი

უიმბლდონი: სალივანი, კანინგემი, კიმბლი, ჯოუნზი, ბლექველი, ირლი, ეკოკუ, ჰოლდსუორსი (თორნი 80), გეილი, ჰარფორდი (გუდმენი 59), პერი

არსენალი: სიმენი, დიქსონი, ვინთერბურნი, კიოუნი, პართსონი, მარშალი, ლინიგერი, მერსონი, პლატი, ბერხკამპი, რაიტი

გოლი: ვინთერბურნი (61), პლატი (65), ბერხკამპი (83)

### ქოვენთრი 0:2 ბოლტონი

17 226 მაყურებელი

ქოვენთრი: ოგრიზოვიჩი, ბოროუზი, [illegible], შოუ, დეიში, ვილიამსი, ნდლოვუ (სტრა[illegible] 65), დაბლინი, ვილანი, სალაკო, ჯესი

ბოლტონი: ბრანაგანი, გრინი, ფილ[illegible] [illegible]ოულმენი, ფაირკლაფი, კარჩიჩი, სილერ[illegible], ბერგსონი, სტაბსი, ბლეიქი (დე ფრეიტასი [illegible]0), [illegible]ტალაინელი

გოლი: სტაბსი (66, 70)

გაფრთხილება: ბაროუსი, სალაკო, გ[illegible]

### ლივერპული 2:0 ჩელსი

40 820 მაყურებელი

ლივერპული: ჯეიმსი, ჯოუნზი, პარკე[illegible], [illegible], რაიტი, მაკატირი, მაკმანამანი, თომა[illegible], [illegible]რი, ბარნსი, ფაულერი

ჩელსი: პიჩკოკი, კლარკი, სპენსერი, [illegible] ([illegible]ლონგი 71), ბარლი, პიკოკი, ვაისი, [illegible]სკუ, ფილანი, დაბერი

გოლი: რაიტი (53), ფაულერი (62)

გაფრთხილება: კოლიმორი, პიუზი, ბა[illegible] [illegible]სკუ

### ლიდსი 2:2 ევერტონი

29 425 მაყურებელი

ლიდსი: ლუკიჩი, პემბერტონი, პალმერი [illegible]ლი, გრეი, კაზინსი (ვოლისი 80), თინ[illegible] [illegible]რდი, დინი, ბროლინი (მასინგა 87)

ევერტონი: საუთპოლი, ჰოტიგენი, შორ[illegible] [illegible]რსი, პიჩქლიფი, კანჩელსკისი, პორ[illegible], [illegible]ლიმპარი, ფერგიუსონი, სტიუარტი

გოლი: დინი (6, 45), სტიუარტი (28) [illegible] [illegible]სი (50)

გაფრთხილება: თინქლერი, შორტი, [illegible]

**ბომბარდირები:**

შირერი (ბლექბერნი) — 28
ფაულერი (ლივერპული) — 5
ფერდინანდი (ნიუკასლი) — 21



# სიახლე!

# ახალი თამაში CROCO-2

თამაშის მიზანია ტირაჟში მოცემული რვა მატჩის პირველი ტაიმისა და ძირითადი დროის შედეგების გამოცნობა. მოგებულად ჩაითვლება ვარიანტი, სადაც მოთამაშემ 8, 7 ან 6 მატჩის ორივე (პირველი ტაიმი და ძირითადი დრო) შედეგი გამოიცნო. ერთ ბილეთში შეიძლება თითოეული მატჩის შედეგების (პირველი ტაიმი და ძირითადი დრო) სამი სხვადასხვა ვარიანტის შეტანა. გამოუყენებელი გრაფა უნდა გადაიხაზოს შემდეგნაირად: [–][–] შესაბამისად, ერთ ბილეთში შეტანილი ვარიანტთა მაქსიმალური რაოდენობაა $3^8=6561$.

შესაბამის გრაფებში უნდა ჩაიწეროს ტირაჟის ნომერი და ვარიანტების რაოდენობა.

**ნიმუში**

CROCO-2

| № | 45 | 90 | 45 | 90 | 45 | 90 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | X | 1 | – | – | – | – |
| 2 | X | X | X | 1 | – | – |
| 3 | 2 | 1 | – | – | – | – |
| 4 | 1 | X | – | – | – | – |
| 5 | X | 1 | 1 | X | X | X |
| 6 | 2 | 2 | – | – | – | – |
| 7 | X | X | X | 2 | – | – |
| 8 | 1 | 1 | – | – | – | – |

ვარიანტების რაოდენობა | 1 | 2 |

ტირაჟის ნომერი | 0 | 0 |

CROCO-2

| № | 45 | 90 | 45 | 90 | 45 | 90 |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | X | 1 | – | – | – | – |
| 2 | X | X | X | 1 | – | – |
| 3 | 2 | 1 | – | – | – | – |
| 4 | 1 | X | – | – | – | – |
| 5 | X | 1 | 1 | X | X | X |
| 6 | 2 | 2 | – | – | – | – |
| 7 | X | X | X | 2 | – | – |
| 8 | 1 | 1 | – | – | – | – |

ვარიანტების რაოდენობა | 1 | 2 |

ტირაჟის ნომერი | 0 | 0 |

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდი შეადგენს ტირაჟში შემოსული თანხის 75% (25%-25% 8, 7 და 6 მატჩის გამომცნობთათვის). გაუთამაშებელი თანხა გადადის შემდეგი ტირაჟის მოგების ფონდში (JACK POT).

მოთამაშე დაზღვეულია მოგების მინიმალური ოდენობით: 8 მატჩის გამოცნობა — 500 ლარი, 7 მატჩის გამოცნობა — 100 ლარი და 6 მატჩის გამოცნობა — 20 ლარი.

მოგების მაქსიმალური თანხა შეზღუდული არაა.

ბილეთის ორივე მხარე ერთნაირად ივსება. არასწორად შევსებული ქვითარი არ განიხილება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება.

ბილეთის ფასია 2 თეთრი.



## ტირაჟი № 11
(19-20 მარტი)

1. ეინდჰოვენი — ბარსელონა
2. რომა — სლავია
3. ბორდო — მილანი
4. ნოტინგემი — ბაიერნი
5. იუვენტუსი — რეალი
6. პანათინაიკოსი — ლეგია
7. სპარტაკი — ნანტი
8. აიაქსი — დორტმუნდი

## ტირაჟი № 12
(19-21 მარტი)

1. იუვენტუსი — რეალი
2. პანათინაიკოსი — ლეგია
3. სპარტაკი — ნანტი
4. აიაქსი — დორტმუნდი
5. რაპიდი — დინამო
6. პსჟ — პარმა
7. სარაგოსა — დეპორტივო
8. ფეიენოორდი — გლადბახი

## შოტლანდია

### რეინჯერსი 1:1 სელტიკი

47 312 მაყურებელი

რეინჯერსი: გორამი, მური (დიური 34), კლილენდი, პეტრიკი, მაკლარენი, ბრაუნი, მილერი, გასქოინი, მაკკოისტი, მაკკოლი, ლაუდრუპი

სელტიკი: მარშალი, ბოიდი, მაკკინლი, მაკნამარა, პიუზი, გრანტი, ოდონელი, მაკსტეი, ვან ჰოაიდონკი, ტომი (ვიგორსტი 78), კოლინზი (მაკლაფლინი 46)

გოლი: მაკლარენი (41), პიუზი (87)

გაფრთხილება: გასქოინი, მაკნამარა

გაძევება: მაკნამარა

„იბროკს პარკზე" ძველი მტრები „რეინჯერსი" და „სელტიკი" შეიბნენ. ამ გუნდების ბრძოლა ისტორიულია. ეს გახლავთ შოტლანდიელი კათოლიკებისა და პროტესტანტების რელიგიური ომი, გადატანილი საფეხბურთო მინდორზე. სულერთია, [illegible]ლებით თვალსაზრისით მნიშვნელოვანია შეხვედრა თუ უმნიშვნელო, „რეინჯერსმა" „სელტიკს" [illegible] მოუგოს, „სელტიკმა" „რეინჯერსს".

„იბროკს პარკზე" შოტლანდიელთა დავაში [illegible]... ინგლისელმა. „რეინჯერსის" პოლ გასქოინი ყველაფერს ასწრებდა და ყველაფერი გამო[illegible]. იცით რა სწერია გუშინდელ ბრიტანულ [illegible]ში? გასქოინი, გასქოინი, გასქოინი და მეტი არაფერი. მას ინგლისის უდიდეს ფეხბურთელს უწოდებენ, უქებენ პასს, დარტყმას, ჟინს, შრომისმოყვარეობას. რა ხდებოდა თამაშის პირველ წუთზე? გასქოინი დიდებულად აწვდიდა. მეორეზე? გასქოინი დიდებულად არტყამდა. მესამეზე? გასქოინი დიდებულად ართმევდა და ასე შემდეგ.

„იბროკს პარკზე" გასქოინი უყვართ — წერდნენ გაზეთები — უყვართ არა იმიტომ, რომ ორიგინალური კაცია, თმებს ილებავს და ხშირად უცნაურად იქცევა, არამედ იმიტომ, რომ ბრწყინვალე ფეხბურთელია. მისი პასი, მისი დარტყმა...

41-ე წუთზე ოდონელმა სულელურად ითამაშა. მან ალექს კლილენდის წინააღმდეგ წესი დაარღვია, რითაც საქმე გაიფუჭა. ჯარიმა გასქოინმა ჩააწოდა და ალან მაკლარენმა შეაგდო.

შესვენებამდე ორიოდ წუთით ადრე გასქოინი და ჯეკი მაკნამარა წაკინკლავდნენ. მსაჯმა გაფრთხილებებისგან თავი შეიკავა, მაგრამ მოთამაშეები მაინც ვერ გადაურჩნენ. მეორე ტაიმის დასაწყისში ანდრეას ტომის წაქცევისთვის გასქოინმა ყვითელი ბარათი მიიღო, მაკნამარამ კი ჯერ ყვითელი გაიხერხა, მერე წითელი.

თამაშის ბოლოს დიურის დარტყმა მარშალმა მოიგერია. მერე „სელტიკმა" შეტევა წამოიწყო, რომელიც წესის დარღვევით შეაჩერეს. ჯარიმა გრანტმა ჩააწოდა, პიუზმა თაურით გაქვითა.

დათო ქავთარაძე

# სარბიელი

## ტოტალიზატორი "CROCO"

გერმანიის ჩემპიონატი. გამოტოვებული მატჩები

20 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ურდინგენი — შტუტგარტი | 2,7 | 2,7 | 1,8 |
| ლევერკუზენი — ჰანზა | 1,5 | 2,7 | 4,0 |

ინგლისის თასი. გადათამაშება

20 მარტი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლივერპული — ლიდსი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| უიმბლდონი — ჩელსი | 3,0 | 3,0 | 1,6 |

უეფას თასი. მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები

19 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ეინდჰოვენი — ბარსელონა | (1,2-3,5) | 1,6 | 2,6 | 3,6 |
| რომა — სლავია | (1,7-1,7) | 1,1 | 3,2 | 7,0 |
| ბორდო — მილანი | (10,0-—) | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| ნოტინგემი — ბაიერნი | (2,1-1,45) | 1,8 | 2,7 | 2,7 |

ჩემპიონთა ლიგა. მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები

20 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი. — რეალი | (1,35-2,5) | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| პანათინაიკოსი — ლეგია | (1,35-2,5) | 1,4 | 2,7 | 4,7 |
| სპარტაკი — ნანტი | (4,0-1,15) | 1,8 | 2,6 | 2,8 |
| აიაქსი — დორტმუნდი | (—10,0) | 1,35 | 3,0 | 4,4 |

თასების თასი. მეოთხედფინალის საპასუხო მატჩები

21 მარტი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| რაპიდი — დინამო | (1,1-5,0) | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| პარი სენ-ჟერმენი — პარმა | (2,3-1,4) | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| სარაგოსა — დეპორტივო | (2,5-1,35) | 1,8 | 2,5 | 3,0 |
| ფეიენოორდი — მიონხენგლადბახი | (1,15-4,0) | 1,8 | 2,5 | 3,0 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## თამაშის წესები

თამაშში მონაწილის მიზანია გამოიცნოს მატჩის ძირითადი დროის შედეგი. მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტი ყოველ შესაძლო შედეგზე. შედეგის გამოცნობის შემთხვევაში მიიღებთ თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია. ფსონები მიიღება მატჩის ანგარიშის გამოცნობაზეც (კოეფიციენტი — 4,0). ფსონის მინიმალური თანხაა — 50 თეთრი.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩზე ერთდროულად. თუ ფსონს ჩამოხვალთ რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, თქვენი კოეფიციენტი ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს შეადგენს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე).

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში და, შესაბამისად, მატჩის შედეგიც განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ერთი და იგივე მატჩის შეტანა ერთ ვარიანტში ორი სხვადასხვა სახით (მაგ: ლაციო — პარმა 1, და ლაციო — პარმა 3-0) არ შეიძლება, კოეფიციენტები არ გამრავლდება. კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზებისთვის: შედეგი — შედეგზე, თასის ალება — თასის ალებაზე და ა.შ.

თუ მატჩი ჩატარდა დანიშნულ თარიღზე ადრე, მატჩის ჩატარების შემდეგ ჩამოსული ფსონები, მიუხედავად მასში აღნიშნული შედეგისა, დაბრუნდება უკან. ფსონები უქმდება მაშინაც, თუ მატჩი გადაიდო, შეიცვალა მასპინძელი გუნდი ან არ დამთავრდა (ჩაიშალა). თუ ასეთი მატჩები შეტანილია სხვა მატჩებთან ერთად ორ ვარიანტში, მაშინ ვარიანტი განიხილება ამ თამაშის გარეშე. თუ მატჩი დამთავრდა, მისი შედეგი დაფიქსირდა, შემდეგ კი იგი გაპროტესტდება და გადათამაშდება, მოგებები გაიცემა პირველი მატჩის შედეგის მიხედვით. თუ ფსონი დადებულია გუნდის შემდგომ ეტაპზე გასვლაზე და თამაშის შედეგად გუნდი გავა კიდევაც, შემდეგ კი რაიმე სანქციების გამო შემდეგ ეტაპზე გასულად სხვა გუნდი ჩაითვლება, მოგებები გაიცემა თამაშის შედეგად შემდეგ ეტაპზე გასულ გუნდზე. თუ ტურში არ ჩატარდება რომელიმე მატჩი, ფსონი კი დადებულია გატანილი გოლების რაოდენობაზე, მოგება გაიცემა ან ფსონი წაგებულად ჩაითვლება, თუ ამ მატჩის შედეგი გავლენას ველარ ახდენს პროგნოზის გამოცნობაზე. სხვა შემთხვევაში ფსონი ბრუნდება უკან.

მოთამაშე პასუხისმგებელია ქვითრის სწორად შევსებისთვის. თუ ქვითრის ორი ნაწილი განსხვავებულად არის შევსებული, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ტოტალიზატორში ჩაბარებულ ნაწილს.

მოგებები გაიცემა და ფსონები უკან ბრუნდება ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ, ქვითრის გარეშე და არასწორად ან არასრულად შევსებულ ქვითრებზე მოგებები არ გაიცემა. თუ ქვითარში არ არის მითითებული თანხა, ფსონები ჩაითვლება მისი მინიმალური ოდენობით (50 თეთრი).

**ფსონები მიიღება: სამშაბათს, ოთხშაბათს, პარასკევს, შაბათს და კვირას 13-დან 16 საათამდე სასტუმრო „აჭარის" ფოიეში.**

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | 21 | 22 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ALBACETE BALOMPIE | ■ | 0-0 | | 2-0 | | 1-3 | 1-0 | 1-1 | 1-2 | 1-1 | | | 0-1 | 3-5 | 0-0 | 3-3 | 3-2 | | 1-3 | 4-2 | 4-0 | 2-0 |
| 2 | RCD ESPAÑOL BARCELONA | 1-0 | ■ | | 3-0 | | 0-0 | | 0-2 | | 3-1 | | 1-0 | 1-1 | 0-0 | 1-1 | 3-1 | 0-1 | 2-1 | 2-0 | 2-0 | 2-2 | |
| 3 | FC BARCELONA | 3-0 | 2-1 | ■ | 4-1 | | 1-0 | 1-1 | | 2-0 | 3-0 | 4-1 | 1-1 | 3-1 | | 1-0 | 4-1 | | | 1-0 | 1-0 | | 2-2 |
| 4 | ATHLETIC DE BILBAO | | 0-0 | 0-0 | ■ | | 2-1 | 1-0 | 0-2 | | 0-5 | 0-1 | 4-0 | 1-0 | 0-0 | 0-1 | | 1-1 | | | 2-1 | 3-0 | 1-1 |
| 5 | SD COMPOSTELA | 3-1 | 2-1 | 2-1 | 2-1 | ■ | 1-0 | 4-0 | | 1-0 | 3-3 | 4-1 | 2-0 | 3-2 | | 1-2 | [illegible] | | | | 1-3 | 1-1 | 1-0 |
| 6 | SPORTING GIJON | 3-0 | 2-3 | | 1-2 | | ■ | 1-1 | 1-2 | | 0-0 | | 4-2 | 4-1 | 1-1 | 2-3 | 3-2 | [illegible] | [illegible] | [illegible] | 4-2 | [illegible] | [illegible] |
| 7 | DEPORTIVO LA CORUÑA | 5-0 | 0-1 | | | 2-0 | 1-0 | ■ | 2-2 | | 3-0 | | 2-3 | 2-3 | 1-1 | 0-0 | 2-0 | | 1-1 | 3-0 | 3-1 | | |
| 8 | ATLETICO DE MADRID | | 2-1 | 3-1 | 4-1 | 3-0 | 2-0 | 1-0 | ■ | 0-0 | | 3-0 | 2-0 | | 4-1 | | | | 1 | | 0-2 | 3-2 | 1-1 |
| 9 | RAYO VALLECANO | 2-0 | 1-0 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 0-6 | | ■ | 1-5 | 1-2 | 1-2 | | | 1-2 | 1-4 | | 2-4 | 3-2 | | | 4-1 |
| 10 | REAL MADRID CF | | | 1-1 | 1-2 | 2-1 | | | 1-0 | 1-2 | ■ | 2-3 | | 2-2 | 3-2 | 4-2 | 5-0 | 4-1 | 2-0 | 0-0 | 4-1 | 1-0 | |
| 11 | REAL OVIEDO | 1-0 | 1-2 | 1-2 | 0-0 | 3-1 | 1-0 | 0-2 | | 2-0 | 1-2 | ■ | 2-1 | 1-1 | | 0-1 | 2-2 | | | 0-1 | | | 0-0 |
| 12 | RACING SANTANDER | 5-5 | 1-1 | | 1-1 | | 1-1 | 2-1 | 0-4 | | 2-0 | | ■ | 0-0 | | 0-0 | 2-1 | 1-1 | | 0-3 | 0-0 | 2-1 | 2-0 |
| 13 | REAL ZARAGOZA | 3-1 | | 0-3 | | 1-0 | | | 0-1 | 1-1 | | 1-0 | | ■ | 1-2 | 1-2 | 1-1 | 0-1 | 0-2 | 4-1 | 5-3 | 0-0 | |
| 14 | REAL SOCIEDAD | | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 2-0 | 2-1 | 1-0 | 2-1 | | 1-1 | 2-1 | 3-1 | ■ | | | 1-0 | 0-1 | | 1-0 | 3-1 | 1-2 |
| 15 | REAL BETIS SEVILLA | | | 1-5 | 0-0 | 5-0 | | | 2-1 | 0-0 | 0-0 | 2-1 | | 3-1 | 3-1 | ■ | | 1-1 | 3-3 | 3-0 | 3-0 | 0-3 | 0-1 |
| 16 | SALAMANCA | | 2-2 | | 2-1 | | | 0-5 | 1-3 | 1-2 | 0-2 | 0-1 | | 0-1 | 3-3 | 2-1 | ■ | 4-1 | 1-2 | 4-0 | 0-0 | 0-1 | 2-2 |
| 17 | SEVILLA FC | 1-1 | 0-3 | 1-0 | 1-1 | 0-1 | 2-0 | 0-0 | 0-0 | 1-0 | | 1-1 | 0-1 | | 2-1 | | | ■ | 0-1 | | | 0-0 | 3-0 |
| 18 | CD TENERIFE | 1-3 | 1-4 | 1-1 | 3-2 | 1-1 | 3-0 | 1-1 | | 2-2 | 3-0 | 3-3 | 2-0 | 1-2 | | | | 4-2 | ■ | | 1-0 | 1-0 | 1-0 |
| 19 | VALENCIA CF | | | 4-1 | 3-1 | 5-2 | | 2-1 | 0-1 | 3-0 | 4-3 | 3-1 | | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 1-0 | | ■ | 1-0 | 3-0 | 4-1 |
| 20 | REAL VALLADOLID | 3-0 | | 0-2 | 2-2 | 0-0 | | | 0-1 | 1-1 | | 2-2 | 3-1 | | 3-0 | | 1-0 | 3-3 | 3-0 | 2-5 | ■ | 1-1 | 1-1 |
| 21 | RC CELTA VIGO | 2-2 | | 1-0 | | 0-1 | 0-0 | 0-0 | 0-3 | 2-0 | | 1-0 | 0-0 | | 1-1 | | 2-1 | 4-0 | 2-2 | | | ■ | 2-0 |
| 22 | MERIDA | 1-1 | 0-1 | 0-0 | | 0-2 | 1-0 | 0-2 | | | 2-2 | | 3-1 | 1-1 | 1-2 | 1-1 | 0-0 | | 2-0 | 0-2 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | BAYER 04 LEVERKUSEN | ■ | 2-1 | | 1-1 | 0-0 | 2-0 | 0-1 | | 0-1 | | | | | | 1-1 | 0-0 | 0-0 | 2-2 |
| 2 | BAYER UERDINGEN | | ■ | 1-6 | 0-2 | | 1-1 | | | 1-1 | 1-1 | 1-1 | | 1-1 | 2-0 | 2-5 | 1-1 | | 3-0 |
| 3 | FC BAYERN MÜNCHEN | 1-0 | 2-0 | ■ | | 1-2 | | 2-0 | | 3-2 | | 2-0 | 1-4 | | 4-2 | | 4-0 | 5-3 | 2-0 |
| 4 | BORUSSIA DORTMUND | | | 3-1 | ■ | 2-1 | | | 3-0 | | 1-2 | 1-1 | 4-1 | 3-0 | 3-1 | 1-0 | | 6-3 | |
| 5 | BORUSSIA MÖNCHENGLADBACH | 0-0 | 2-1 | | 2-2 | ■ | 4-1 | 1-0 | | 1-2 | 3-2 | | | | | 2-4 | 4-1 | | 1-0 |
| 6 | EINTRACHT FRANKFURT | 1-1 | 1-0 | 4-1 | 3-4 | | ■ | 0-1 | 3-0 | | | 3-1 | 2-2 | 1-0 | 4-2 | 2-2 | | | |
| 7 | SC FREIBURG | | 1-1 | 3-1 | 0-1 | 0-0 | 2-0 | ■ | | 0-3 | 2-1 | | | | | 0-2 | 1-2 | 2-1 | 0-1 |
| 8 | FORTUNA DUSSELDORF | 1-1 | 1-0 | 0-2 | | 3-2 | | 0-0 | ■ | 2-2 | 2-2 | | | 1-1 | | | 2-0 | 1-2 | |
| 9 | HAMBURGER SV | | | 2-1 | 2-2 | | 5-1 | | 4-1 | ■ | 1-1 | 1-0 | 0-0 | | 2-2 | 1-0 | 1-1 | | 3-3 |
| 10 | HANSA ROSTOCK | 1-2 | | 0-0 | 3-2 | 2-3 | 1-1 | | 0-0 | | ■ | 3-0 | | | | 2-0 | | 3-3 | |
| 11 | 1. FC KAISERSLAUTERN | 1-0 | | 2-3 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 1-2 | 2-0 | | | ■ | 2-2 | 1-1 | 0-0 | 0-0 | | 1-1 | |
| 12 | KARLSRUHER SC | 1-4 | 2-0 | 2-6 | | 4-0 | 1-1 | 1-1 | 3-1 | | 0-2 | | ■ | 1-0 | | | 0-1 | 1-2 | 1-1 |
| 13 | 1. FC KÖLN | 2-2 | 0-0 | 0-0 | | 0-2 | | 1-1 | 0-0 | 3-2 | 3-0 | | 0-1 | ■ | 2-0 | | 0-1 | 2-2 | |
| 14 | TSV 1860 MÜNCHEN | 0-1 | | 0-2 | | 4-0 | 3-1 | 3-0 | 2-1 | | 1-1 | | 1-1 | 2-1 | ■ | 2-0 | | 1-1 | 1-1 |
| 15 | ST. PAULI HAMBURG | | | 0-1 | 0-3 | 0-2 | | 1-1 | 2-1 | | | 1-2 | 1-1 | 3-3 | 4-2 | ■ | | 1-3 | |
| 16 | FC SCHALKE 04 | | 1-1 | | 1-2 | | 2-0 | | 1-1 | 3-0 | 1-3 | 1-1 | 2-1 | 0-0 | 1-1 | 2-0 | ■ | | 2-1 |
| 17 | VfB STUTTGART | 1-4 | 0-0 | | 0-5 | 5-0 | 3-2 | 3-1 | | 3-0 | | 2-0 | | | 2-3 | | 2-2 | ■ | 1-1 |
| 18 | WERDER BREMEN | | 1-0 | | 2-2 | | 1-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-0 | 1-1 | | | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ATALANTA | ■ | | | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | | 0-1 | 1-3 | | 1-1 | 2-0 | 2-1 | 3-2 | | 0-0 | 3-1 |
| 2 | BARI | 1-3 | ■ | 3-0 | | 1-1 | 4-1 | | 3-3 | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 0-0 | | 1-3 | 2-2 | | 0-2 |
| 3 | CAGLIARI | 2-0 | 4-2 | ■ | 1-0 | 0-0 | | 0-0 | 0-1 | | 2-0 | 0-1 | | | 0-2 | 3-0 | 1-0 | 4-1 | |
| 4 | CREMONESE | 1-1 | 7-1 | 3-1 | ■ | 0-0 | | 3-3 | | 0-0 | 1-1 | 2-1 | 0-2 | | 0-1 | 0-0 | 1-1 | 2-2 | |
| 5 | FIORENTINA | | 3-2 | 3-1 | 3-2 | ■ | 1-1 | | 2-0 | 2-2 | 3-0 | | 1-0 | 2-1 | | 2-2 | 2-0 | 3-0 | 1-1 |
| 6 | INTER | 1-0 | | 4-0 | 2-0 | | ■ | | 0-0 | 1-1 | 4-0 | | 1-1 | 0-0 | 2-0 | | 4-0 | 2-1 | 1-0 |
| 7 | JUVENTUS | | 1-1 | 4-1 | 4-1 | 1-0 | 1-0 | ■ | 4-2 | 1-1 | 1-1 | 3-1 | | 2-0 | 0-2 | | 5-0 | | 1-0 |
| 8 | LAZIO | 5-1 | 4-3 | 4-0 | 2-1 | | 0-1 | 4-0 | ■ | 0-1 | | 2-0 | | 4-1 | 1-0 | 6-3 | 1-1 | 2-2 | |
| 9 | MILAN | 3-0 | 3-2 | 3-2 | | | 0-1 | 2-1 | | ■ | 0-0 | 1-0 | | 3-0 | 3-1 | 3-0 | 1-1 | 2-1 | 4-0 |
| 10 | NAPOLI | 2-0 | 1-0 | | 0-0 | 0-2 | 2-1 | 0-1 | 1-0 | | ■ | 2-0 | 1-1 | 0-0 | 0-2 | | | | 1-1 |
| 11 | PADOVA | 3-2 | 3-0 | | | 0-1 | 2-1 | 0-5 | 1-3 | 1-2 | 4-2 | ■ | 1-3 | 1-1 | | 1-1 | 1-1 | | 3-2 |
| 12 | PARMA | 2-0 | | 4-0 | | 3-0 | 2-1 | 1-1 | 2-1 | 0-0 | | 2-1 | ■ | 3-2 | 1-1 | 1-0 | | 1-0 | 0-1 |
| 13 | PIACENZA | 2-2 | 3-2 | 1-1 | 2-1 | | 1-0 | 0-4 | 2-1 | | 0-1 | | 2-1 | ■ | 1-0 | 3-2 | | 0-2 | |
| 14 | ROMA | 0-1 | 2-1 | 1-1 | 3-0 | 2-2 | | | 0-0 | 1-2 | | 2-0 | 1-1 | | ■ | 3-1 | 1-0 | | 1-1 |
| 15 | SAMPDORIA | | | 1-2 | 2-0 | 2-1 | 0-0 | 2-0 | | | 2-2 | 3-1 | 3-0 | 3-0 | 1-1 | ■ | 1-0 | 1-0 | 2-2 |
| 16 | TORINO | 0-1 | 3-1 | | | 0-3 | 0-1 | | | | 0-0 | 2-0 | 2-2 | 4-2 | 2-2 | 1-1 | ■ | 2-0 | 1-0 |
| 17 | UDINESE | 3-0 | 1-2 | 1-0 | 3-2 | | | 1-0 | 1-1 | 0-2 | 3-2 | 3-1 | 0-0 | | 1-1 | | 1-0 | ■ | 1-1 |
| 18 | VICENZA | | 2-0 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 2-1 | 1-0 | 1-1 | | 2-1 | | 1-1 | | | 2-1 | 0-1 | ■ |

| | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | FC ARSENAL | ■ | 2-0 | 0-0 | | 1-1 | 1-1 | 1-2 | | | 3-1 | 1-0 | 1-1 | | 1-1 | 3-0 | 4-2 | 4-2 | | 1-0 | 1-3 |
| 2 | ASTON VILLA | 1-1 | ■ | 2-0 | 1-0 | 0-1 | 4-1 | 1-0 | 3-0 | 0-2 | | 3-1 | | 1-1 | 1-1 | 4-2 | 3-2 | | 2-1 | | 2-0 |
| 3 | BLACKBURN ROVERS | | 1-1 | ■ | 3-1 | 3-0 | 5-1 | | | 2-3 | 2-0 | 1-2 | 1-0 | | 7-0 | 1-0 | 3-0 | 2-1 | 2-1 | 4-2 | |
| 4 | BOLTON WONDERERS | 1-0 | 0-2 | 2-1 | ■ | | 1-2 | 1-1 | 0-2 | 0-1 | | 0-6 | 1-1 | 1-3 | 1-1 | 0-1 | | | | 0-3 | 1-0 |
| 5 | FC CHELSEA | 1-0 | | | 3-2 | ■ | 2-2 | 0-0 | | 2-2 | 1-1 | 1-4 | 5-0 | 1-0 | 1-0 | | 0-0 | 3-0 | 0-0 | 1-2 | 1-2 |
| 6 | COVENTRY CITY | 0-0 | 0-3 | 5-0 | 0-2 | 1-0 | ■ | 2-1 | | | 2-1 | 0-4 | 0-0 | 0-1 | 1-1 | | 0-1 | 1-1 | 2-3 | 2-2 | 3-3 |
| 7 | FC EVERTON | 0-2 | | 1-0 | | 1-1 | 2-2 | ■ | 2-0 | | 2-0 | 2-3 | 4-0 | 1-3 | 3-0 | 2-0 | 2-2 | 2-0 | 1-1 | 3-0 | |
| 8 | LEEDS UNITED | 0-3 | 2-0 | 0-0 | 0-1 | 1-0 | 3-1 | | ■ | 1-0 | 0-1 | 3-1 | | | | 1-3 | 2-0 | | | 2-0 | 1-1 |
| 9 | FC LIVERPOOL | 3-1 | 3-0 | 3-0 | 5-2 | 2-0 | 0-0 | 1-2 | 5-0 | ■ | 6-0 | 2-0 | | | 4-2 | 1-0 | 1-0 | 1-1 | 0-0 | | |
| 10 | MANCHESTER CITY | 0-1 | 1-0 | 1-1 | 1-0 | 0-1 | 1-1 | 0-2 | 0-0 | | ■ | | 0-1 | 3-3 | 1-1 | 2-0 | | 2-1 | 1-1 | 2-1 | 1-0 |
| 11 | MANCHESTER UNITED | | 1-1 | 1-0 | 3-0 | 1-1 | | | | 2-2 | 1-0 | ■ | 2-0 | 2-0 | | 2-1 | 2-2 | 4-1 | | 2-1 | 3-1 |
| 12 | MIDDLESBROUGH | 2-3 | 0-2 | 2-0 | 1-4 | 2-0 | 2-1 | 0-2 | 1-1 | 2-1 | 4-1 | | ■ | 1-2 | 1-1 | 1-0 | | 0-0 | 0-1 | 4-2 | |
| 13 | NEWCASTLE UNITED | 2-0 | | 1-0 | 2-1 | 2-0 | 3-0 | 1-0 | 2-1 | 2-1 | 3-1 | 0-1 | 1-0 | ■ | 3-1 | | 2-0 | | | | 6-1 |
| 14 | NOTTINGHAM FOREST | 0-1 | 1-1 | | 3-2 | 0-0 | | 3-2 | 2-1 | | 3-0 | 1-1 | 1-0 | | ■ | | 1-0 | 1-0 | | 1-1 | 4-1 |
| 15 | QUEEN'S PARK RANGERS | 1-1 | 1-0 | 0-1 | 2-1 | 1-2 | 1-1 | | 1-2 | 1-2 | 1-0 | 1-1 | 1-1 | 2-3 | 1-1 | ■ | 0-3 | | 2-3 | | 0-3 |
| 16 | SHEFFIELD WEDNESDAY | | 2-0 | 2-1 | 4-2 | | 4-3 | | 6-2 | 1-1 | 1-1 | 0-0 | 0-1 | 0-2 | 1-3 | 1-3 | ■ | 2-2 | 1-3 | 0-1 | 2-1 |
| 17 | FC SOUTHAMPTON | 0-0 | 0-1 | | 1-0 | 2-3 | | 2-2 | 1-1 | 1-3 | 1-1 | | 2-1 | 1-0 | 3-4 | 2-0 | | ■ | 0-0 | 0-0 | |
| 18 | TOTTENHAM HOTSPUR | 2-1 | 0-1 | 2-3 | 2-2 | | | 0-0 | 2-1 | 1-3 | 1-0 | 4-1 | | 1-1 | 0-1 | 1-0 | 1-0 | 1-0 | ■ | 0-1 | 3-1 |
| 19 | WEST HAM UNITED | 0-1 | 1-4 | 1-1 | | 1-3 | 3-2 | 2-1 | 1-2 | 0-0 | | 0-1 | 2-0 | | 1-0 | 1-0 | | 2-1 | 1-1 | ■ | |
| 20 | FC WIMBLEDON | 0-3 | 3-3 | 1-1 | 3-2 | 1-1 | | 2-3 | 2-4 | 1-0 | | 2-4 | 0-0 | 3-3 | | 2-1 | 2-2 | 1-2 | 0-1 | 0-1 | ■ |

# წელს ბევრი დაკმაყოფილდა

## სამთო-სათხილამურო სეზონის მიმოხილვა

ზამთრის თითქმის ყველა სახეობაში ტარდება მსოფლიო თასის გათამაშება, მაგრამ მათ შორის ყველაზე დიდი ისტორიის მქონე და ამასთან ყველაზე პრესტიჟული მაინც სამთომოთხილამურეთა მსოფლიო თასია. თუ სხვა სახეობებში მსოფლიოს ან ოლიმპიური ჩემპიონობა უფრო მაღალი ტიტულია, ვიდრე მსოფლიო თასზე გამარჯვება, აქ, ამ პრიზის მოპოვების გარეშე სპორტსმენი ვერ ჩაითვლება სათხილამურო ელიტის სრულფასოვან წარმომადგენლად. (იგულისხმება საერთო



მიხაელ ფონ გრიუნიგენი

ჩათვლა). წელს მსოფლიო თასები 30-ედ გათამაშდა. (პირველი გამარჯვებულნი 1967 წელს გამოვლინდნენ: ისინი სახელგანთქმული ფრანგი ჟან-კლოდ კილი და კანადელი ნენსი გრიმი იყვნენ). ეს თასი ბევრ გამოჩენილ მოთხილამურეს მოუგია, თუმცა სპორტის ამ სახეობისთვის კრიზისულ პერიოდში – 1979-80 წლებში, ქულების ათვლის სისტემის აბსურდულობის გამო სახელგანთქმული ინგემარ სტენმარკი, რომელიც ეტაპებს ეტაპებზე იგებდა, ვერ გახდა თასის მფლობელი. თასი მასზე ბევრად სუსტმა შვეიცარიელმა პეტერ ლუშერმა და ლიხტენშტეინელმა ანდრეას ვენცელმა დაისაკუთრეს, მაგრამ კრიზისმა გაიარა და ყველაფერი მოწესრიგდა.

ახლა წლევანდელ ლაურეატებზე ვისაუბროთ. მამაკაცებში მსოფლიოს თასი საერთო ჩათვლის ჯამში 25 წლის ნორვეგიელმა ლასე კიუსმა მოიგო. ნორვეგიელები სათხილამურო რბოლებისგან განსხვავებით მთის თხილამურებში არასოდეს ითვლებოდნენ ფავორიტებად 90-იან წლებამდე. გამონაკლისი 50-იანი წლების დასაწყისი იყო, როდესაც სტიგ ერიკსენმა მსოფლიოს და ოლიმპიური ჩემპიონობა მოიპოვა. 1958 წელს ინეს ბიორნბაკენმა მოი-


ალბერტო ტომბა

გო ქალთა მსოფლიო პირველობა სლალომში, თუმცა ეს წამიერი გაელვება უფრო იყო. 90-იანი წლებიდან კი ნორვეგიაში ნამდვილი სამთო-სათხილამურო ბუმი დაიწყო. ამდენი უმაღლესი კლასის მოთხილამურე დღესდღეობით არცერთ ძველ ტრადიციულ ლიდერ ქვეყანას (საფრანგეთი, ავსტრია, შვეიცარია) არა ჰყავს: ლასე კიუსი, კეტილ-ანდრე ომოდტი, ოლე-ქრისტიან ფურუსეტი, ფრედ-ქრისტიან იაგე, ატიე სკარდალი. ისინი ერთიმეორის მიყოლებით იგებენ შეჯიბრებებს მსოფლიო თუ ოლიმპიურ ასპარეზზე. მათ შორის გამორჩეული ლიდერი მაინც კიუსია. მან 1993 წელს მოიგო მსოფლიო ჩემპიონატის სწრაფდაშვებაში და ამის შემდეგ მსოფლიოს სათხილამურო ელიტას არასოდეს გამოკლებია. წელს კი მისგან წარმატებას ნაკლებად ელოდნენ, რადგან შარშან კიუსმა საშინელი ტრავმა მიიღო და ერთი ხანობა იმაზეც ბჭობდნენ, დაუბრუნდებოდა თუ არა სათხილამურო სპორტს. კიუსი დაბრუნდა და ბრწყინვალედაც მოიგო წლევანდელი მსოფლიო თასი. მაგრამ კიუსს გულისტკივილის მიზეზი მაინც აქვს – სიერა-ნევადას მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერცერთი ოქროს მედალი ვერ მოიპოვა. თუმცა კიუსს ჯილდოდ უფრო ოლიმპიური ოქროლა აკლია და მთელი მისი მცდელობა, ალბათ, აქეთკენ იქნება მიმართული. სათხილამურო სპორტის გარდა მას უყვარს ფეხბურთი (როგორც ნორვეგიელი ჟურნალისტები ამბობენ, მათ ქვეყანაში თხილამურების და ფეხბურთის ალმავლობა ერთდროულად დაიწყო, თუმცა ნორვეგიელ ფეხბურთელებს ჯერ ბევრი უკლიათ მსოფლიო ვარსკვლავობამდე). მისი საყვარელი ფეხბურთელი ლარს ბოჰინენია, რომელიც ინგლისის „ბლექბერნ როვერსში“ თამაშობს. ცალკეულ სახეობებში კიდევ ერთმა ნორვეგიე-


პიკაბო სთრითი

ლმა ატიე სკაარდალმა მოიპოვა მსოფლიო თასი. მან სუპერ გიგანტში გაიმარჯვა. ამ სახეობაში სკაარდალს წელს ბადალი არ ყავს, რაც მან ჩემპიონატზე გამარჯვებითაც დაამტკიცა. სხვა ცნობილი ნორვეგიელებიც – მსოფლიო ჩემპიონი ომოდტი და ოლიმპიური ჩემპიონი იაგე სათანადო დონეზე იყვნენ, თუმცა საერთო ჩათვლები ვერ მოიგეს. ოდნავ დათმო პოზიციები ნორვეგიელთა ადრინდელმა ლიდერმა ფურუსეტმა. ფრანგებმა ორი თასი მოიგეს: ლიუკ ალფანმა სწრაფდაშვებაში და სლალომში სებასტიან ამიეზმა. ალფანმა თასი სწრაფდაშვების ვარსკვლავებს – ავსტრიელებს გიუნტერ მადერს და პატრიკ ორტლიბს „წაართვა“ და ეს „ავსტრიული თასი“ (სწრაფდაშვებაში მეტწილად ავსტრიელები იმარჯვებენ) საფრანგეთში წაიღო. ალფანი ფრანგების ლიდერად იქცა და მისგან მრავალ წარმატებებს უნდა ველოდეთ მომავალშიც. გიგანტური სლალომი შვეიცარიელთა ლიდერმა მიხაელ ფონ გრიუნიგენმა მოიგო. იგი ჯიუტად უახლოვდება სათხილამურო მწვერვალებს: მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს ორი მედლის მფლობელი, მსოფლიო თასის საერთო ჩათვლაში მესამე, მომავალ სეზონში ამას აღარ დასჯერდება. ყოველ შემთხვევაში, ყველაზე სახელგანთქმულ შვეიცარიელს – პირმინ ცურბრიგენს მხოლოდ იგი მიაჩნია მემკვიდრედ. ავსტრიელებმა თასის ვერცერთი გათამაშება ვერ მოიგეს. მიუხედავად იმისა, რომ გამოჩნდა მოთხილამურეთა ახალი თაობა (თომას სიკორა, ჰანს კნაუსი), მთელი სიმძიმე მაინც ვეტერანებს – გუსტავ მადერსა და პატრიკ ორტლიბს დააწვათ. ორტლიბმა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულიც დაისაკუთრა სწრაფდაშვებაში, მადერი კი საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე გავიდა. თუმცა სახელგანთქმულმა იტალიელმა ალბერტო ტომბამ ვერცერთი თასი ვერ მოიგო (იგი მეხუთე იყო საერთო ჩათვლაში და მეორე სლალომში), მისთვის ეს წელი მაინც მნიშვნელოვნად უნდა ჩაითვალოს – მან ორი ოქროს მედალი მოიპოვა სიერა-ნევადაში და გახდა მეხუთე მოთხილამურე, რომელმაც „უკვდავთა“ შორის დაიმკვიდრა ადგილი. „უკვდავნი“ ისინი არიან, ვისაც თასიც მოუგია, ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონობაც. ასეთები კი ტომბამდე მართლაც უდიდესი მოთხილამურე – ჟან კლოდ კილი (საფრანგეთი), გუსტავო ტონი (იტალია), ინგემარ სტენმარკი (შვედეთი) და პირმინ ცურბრიგენი (შვეიცარია) იყვნენ. „უკვდავობა“ რომ ძნელზე ძნელია, იქიდანაც ჩანს, რომ მსგავსი რამ ვერ შეძლეს ისეთმა გიგანტებმა, როგორებიც ავსტრიელი კარლ შრანცი და ლუქსემბურგელი მარკ ჟირარდელი იყვნენ. თუმცა ვეტერანი ჟირარდელი ბედს არ ნებდება – წელს მან მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა კომბინა[illegible]ში.

ტომბას მსგავსად, სრული კოლექცია შეაგროვა ქალთა შორის საერთო ჩათვლაში გამარჯვებულმა გერმანელმა კატია ზაიცინგერმა. მან უკვე გაუსწრო გერმანელთა სამოცდაათიანი წლების ლიდერს – როზი მიტერმაიერის მიღწევებს და, თუ მის ასაკს გავითვალისწინებთ, მისგან კიდევ ბევრია მოსალოდნელი. მსოფლიო თასის წლევანდელ გათამაშებაზე მისი მეტოქე თანამემამულე მარტინა ერტლი იყო. სახელგანთქმული ფრენი შნაიდერის წასვლამ ზაიცინგერს საქმე ბევრად გაუადვილა. ერტლმა, საერთო მეორე ადგილის გარდა, გიგანტურ სლალომშიც მოიპოვა თასი, რის შედეგადაც გერმანელთა პოზიციები ლიდერთა შორის უფრო განმტკიცდა. რაც შეეხება ამერიკელებს, მათ ახალი კერპი ჰყავთ: 24 წლის პიკაბო სთრითი. სთრითმა წლევანდელი სეზონი ბრწყინვალედ ჩაატარა: სწრაფდაშვებაში თასიც დაისაკუთრა და მსოფლიო ჩემპიონობაც. ავსტრიელ ვეტერან მოთხილამურე ქალებს, ისევე, როგორც ვაჟებს, კვლავ უჭირავთ მოწინავე პოზიციები მიუხედავად იმისა, რომ ბოლო ხანს ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოჩნდა (თუნდაც ალექსანდრა მაისტნიცერი). ანეტა ვახტერი მსოფლიო თასის საერთო ჩათვლაში მესამე ადგილზე გავიდა, ელფი ედერმა კი სლალომში მსოფლიო თასი დაიმსახურა. ქალთა სათხილამურო სპორტში შვეიცარიელთა ხანგრძლივი ბატონობის შემდეგ, განსაკუთრებით მას შემდ[illegible]ე, რაც სახელოვანი თაობის (ერიკა ჰესი, მარია ვალიზერი, მიქაელა ფიგინი, ფრენი შნაიდერი) უკანასკნელმა მოჰიკანმა ფრენი შნაიდერმაც დაანება თავი სპორტს, მათ დათმეს პოზიციები, თუმცა ახალი ლიდერი ჰაიდე ცურბრიგენი თავის თანამემამულეებთან ერთად კვლავ შეეცდება დაუბრუნოს ძველი დიდება შვეიცარიულ სამთოსათხილამურო სპორტს. იტალიელებიდან მსოფლიო თასის ლაურეატი მხოლოდ იზოლდა კოსტნერი გახდა. მან მესამე ადგილი დაიკავა სწრაფდაშვებაში. თუმცა იტალიელებისთვის ეს სეზონი მაინც წარმატებულად უნდა მივიჩნიოთ – კოსტნერმა და დებორა კომპანიონიმ ხომ მსოფლიო ჩემპიო-



მარტინა ერტლი

ნობა მოიპოვეს. იგივე შეიძლება ითქვას განთქმულ შვედ პერნილა ვიბერგზე, რომელსაც შვედები „ქალების სტენმარკს“ უწოდებენ და რომელმაც წლევანდელ მსოფლიო ჩემპიონატში ორი ოქროს მედალი მოიგო. დასასრულ კიდევ ერთი: ნორვეგიელები ქალთა სათხილამურო ელიტაშიც აპირებენ დამკვიდრებას – მარიანე კარსტადმა უკვე მოიპოვა ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი.

მოკლედ, წლევანდელი სათხილამურო სეზონი, რომელშიც ბევრმა ცნობილმა სპორტსმენმა დაიკმაყოფილა ამბიციები, დამთავრდა. დანარჩენები სურვილების ასრულებას მომავალ სეზონში ეცდებიან.

კოტე მგალობლიშვილი




## კატია ზაიცინგერი

დაიბადა 1972 წლის 10 მაისს დეტელში. ცხოვრობს მშობლებთან ერთად ებერბახსა და გარმიშში.

სიმაღლე: 171 სმ

წონა: 64 კგ

დაამთავრა საშუალო სკოლა. ატესტატის ნიშანი – 1,6. 1991 წლიდან დაუსწრებლად სწავლობს ჰუგენის უნივერსიტეტის ეკონიმიკის ფაკულტეტზე.

დედა – დოროსი და მამა – ჰანსი თან დაჰყვებიან შეჯიბრებებზე. ძმა სვენი (24 წლის) თხილამურებით მხოლოდ გართობის მიზნით სრიალებს.

მიღწევები: 1996 წლის მსოფლიო თასის მფლობელი საერთო ჩათვლაში, 1994 წლის ოლიმპიური ჩემპიონი სწრაფდაშვებაში, 1992 წელს ალბერვილში სუპერგიგანტსა და სწრაფდაშვებაში ბრინჯაოს მედლების მფლობელი, მსოფლიოს ჩემპიონი სუპერგიგანტსა და სწრაფდაშვებაში 1993 წელს. მსოფლიო თასზე დაკავებული ადგილები წლების მიხედვით: 1992 – მესამე, 1993 – მეორე, 1994 – მესამე, 1995 – მეორე, 1992-1994 წლებში იმარჯვებდა სწრაფდაშვებაში მსოფლიო თასზე. 1993-1995 წლებში მოიგო მსოფლიო თასის შეჯიბრებები [illegible].

გუნდი: „[illegible]“.

1992 და 1993 [illegible] ხილამურ[illegible] მერით დააჯილდოვა. 1990 წლის საუკეთესო იუნიორი სპორტსმენი.

ტრავმა: გაწყვეტილი ჰქონდა მარჯვენა ფეხის მუხლის მყესი. 1993 წელს იღრძო იმავე ფეხის მუხლი.

სპორტული აღჭურვილობა: „ფიოლკლის“ თხილამურები, „მარკერის“ სამაგრეები, „რაიხლის“ ფეხსაცმელები, „იუვენქსის“ სათვალეები.

შემოსავალი: წელიწადში დაახლოებით 1,5 მილიონი მარკა. ნაკრებიდან წლიურად 300 000 მარკა აქვს, ამას ემატება სპონსორთა თანხებიც.

ხასიათი: მეგობრული, ზოგჯერ ფეთქებადი. მეტსახელი: „დენთის კასრი“. უყვარს მარტო ყოფნა, მაგრამ საზოგადოებაშიც შესანიშნავად გრძნობს თავს.

ვარჯიშისას გამრჯეა. „მხოლოდ ფიზიკური ვარჯიშები არ უყვარს: „ძალოსნობის დარბაზში კვირაში ორ-სამჯერ დავდივარ და ძალიანაც მბეზრდება“. ძალიან მოუმატა სლალომში ვარჯიშს წინა წელთან შედარებით. მისი მწვრთნელია შტეფან კურცი.

ძლიერი მხარეები: სწრაფდაშვება და სუპერგიგანტი. რაც უფრო რთული და სწრაფია ტრასა, მისთვის უმჯობესია. აქვს ოპტიმალური ვარიანტის შერჩევის არაჩვეულებრივი ალღო.

სუსტი მხარეები: სლალომი. ბავშობიდან ინსტიქტურად სრიალებდა და ტექნიკას ყურადღებას არ აქცევდა. ახლა დაულალავი ვარჯიშის მეშვეობით ეს ხარვეზიც აღმოფხვრა.

ჰობი: ცხენზე ჯირითი, ჩოგბურთი, მოტოციკლეტი, გოლფი.

საყვარელი საჭმელი: მწვადი

საყვარელი სასმელი: ვაშლის წვენი

საყვარელი მომღერალი: ბრაიან ადამსი.

საყვარელი წიგნები: რომანები

საყვარელი მსახიობი: კევინ კოსტნერი და ტერენს ჰილი.

საყვარელი ქვეყანა: გერმანია

ოცნების პროფესია: ცხენოსნობა

ვის ან რას ისურვებდა, უკაცრიელ კუნძულზე რომ აღმოჩენილიყო? მხოლოდ კარგ გუნება-განწყობილებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიდაობა

## თავისუფლები ბუდაპეშტში ლიცენზიებისთვის წავიდნენ

ზეგ, უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში იწყება ევროპის ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში. გუშინ საქართველოს ნაკრები მოსკოვს გაემგზავრა, დღეს კი ბუდაპეშტს გაფრინდება.

გუნდის შემადგენლობაში ცვლილებები მოხდა. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გია გალდავამ საბოლოოდ ამ 9 მოჭიდავეზე გააკეთა არჩევანი:

გოჩა კირკიტაძე (52 კგ), გიორგი გაგიშვილი (57 კგ), დავით პოლოსიანი (62 კგ), ემზარ ბედინეიშვილი (68 კგ), ჯემალ კილაძე (74 კგ), ავთანდილ გოგილიშვილი (82 კგ), ელდარ კურტანიძე (90 კგ), ზაზა ტყეშელაშვილი (100 კგ), ზაზა თურმანიძე (მძიმე).

შეგახსენებთ, რომ ბუდაპეშტში ევროპის ჩემპიონატის მედლების გარდა გათამაშდება ატლანტის ოლიმპიადის ლიცენზიებიც. პირველ რვა ადგილზე გასული მოჭიდავეები მიიღებენ ოლიმპიურ თამაშებში ასპარეზობის უფლებას.

**ამ მეტად მნიშვნელოვან შეჯიბრზე მოჭიდავეთა ნაკრებს თან ახლავს „სარბიელის“ სპეციალური კორესპონდენტი მერაბ რატიშვილი, რომლის რეპორტაჟებსაც ბუდაპეშტიდან ჩვენი გაზეთის მომდევნო ნომრებში გაეცნობით.**

კრივი

# არა შეჯდა მწყერი ხესა

## აქა ამბავი ტაისონისაგან ბრუნოს სასტიკად გალახვისა



**ბებერ ჯორჯ ფორმენს რინგზე დაბრუნების შემდეგ 20 ბრძოლა დასჭირდა ჩემპიონის სარტყლის ხელახლა მოსაპოვებლად, 29 წლის ნაციხარმა მაიკ ტაისონმა კი ამავე საქმეს სამად-სამი ჩხუბი ამყოფინა: შარშან გალახა პიტერ მაკნილი და ბასთერ მათიას-უმცროსი, შაბათს კი ლას-ვეგასის „ემ-ჯი-ემ გრენდ ჰოტელში" — მსოფლიოს საბჭოს (ვბკ) ჩემპიონი, ბრიტანელი ფრენკ ბრუნოც.**

**კრივის** სამყარო სენსაციებსაა დახარბებული. ტაისონი თუმც მეტოქეზე ძლიერი ჩანდა და ბუქმეიქერთა ვარაუდიც ამასვე მოწმობდა, მსოფლიოს მედია იხტიბარს მაინც არ იტეხდა და ამტკიცებდა, დღესდღეობით ბრუნო უკეთაა მზადო.

ჟურნალისტები საგანგებოდ აღნიშნავდნენ ბრიტანელი ჩემპიონის ბანაკის ერთსულოვნებას. მენეჯერი ფრენკ ვორენი და ბრძენი მწვრთნელი ჯორჯ ფრენსისი ბრუნოს თავს ევლებიან, მაშინ როცა ამერიკელის ბანაკში შინაშლილობააო: შერკინება ხომ შაბათს საღამოსთვის იყო დანიშნული და ხუთშაბათსვე გაცხადდა, რომ მენეჯერთა-მენეჯერ დონ კინგს გაეგდო ტაისონის მეგობარი და მრჩეველი ჯეი ბრაითი, რომელიც მაიკის მიერ ციხიდან გამოსვლის შემდეგ გამართული ორივე შერკინებისას მის კუთხეში მდგარა. თუ მედიას დაეჯერება, ბრაითს არ მოსწონებია ტაისონის არხეინობა და მკაცრადაც გაუკრიტიკებია იგი.

**აწონვა** პარასკევს გაიმართა ლას-ვეგასის „გრენდ სიეთრში" (დიდ თეატრში), სხვა დროს ვინმე მაიკ კორფორდის 14 მილიონ დოლარად დადგმული შოუს სცენა რომაა. თუ შვიდი წლის წინ, პირველი შერკინებისას მეტოქეები თითქმის თანაბარი წონისანი იყვნენ, ამჯერად ბრგე ბრუნოს აღმოაჩნდა 27-გირვანქიანი უპირატესობა. ჩემპიონმა 17 ქვა და 9 გირვანქა (112,1 კგ) აიწონა, მოცილემ — მხოლოდ 15 ქვა და 10 გირვანქა (99,9 კგ). აქვე პროფესიული კრივის შესახებ ქართველ მკითხველებს შევახსენებთ, რომ ქვაში 14 გირვანქაა. ჩვენებურად პირველი 6 კილო და 356 გრამია, მეორე კი — 454 გრამი. სხვათა შორის, წონა გირვანქობით აწერია რძის ფხვნილს, ჰუმანიტარულ დახმარებად რომ შემოდის ამერიკიდან.

აწონვის შემდეგ ტაისონი დარბაისლურად შეხვდა და თქვა, ეგ ჩემთვის არაფერს ნიშნავსო. ბრუნომ ამჯერადაც წაიტრაბახა, აქაო და ახლა ჩემი რიგია, ძველებურად ჯაბანი აღარ გეგონოთ, ავდგები და ტაისონს ზედ დონ კინგის ცხვირწინ დავცემ რინგზეო.

**უთუოდ** ინტრიგის გასამძაფრებლად, იმავ დღეს ნიუ-ჯერზის სასამართლომ განიხილა ბრიტანელი ექს-ჩემპიონის, ბრუნოს გამლახველი ლენოქს ლუისის სარჩელი — ტაისონის ციხიდან გამოსვლამდე ვბკ-ის პრეტენდენტთა სიაში მე მეჭირა პირველი ადგილი და რაკი ბრუნოს ჯერ ჩემი ხელყოფისაგან უნდა დაეცვა ტიტული, ამად მოვითხოვ შაბათის შერკინებას საჩემპიონო სტატუსი ჩამოერთვასო.

სასამართლომ არც მწვადი დაწვა და არც შამფური: ბრუნო — ტაისონის შერკინება საჩემპიონოდ დატოვა, მის გამარჯვებულს პირველივე მეტოქედ კი ლუისი დაუნიშნა. ამით დიდად კმაყოფილი დარჩა ლუისის იმპრესარიო ფრენკ მელოუნი, რომელმაც თავიც კი იმართლა, რომ ვჩიოდით, ერთი წუთითაც არ გვიფიქრია ლას-ვეგასური შერკინების გაუფასურებაო.

**საქართველოსა** და ნევადას შორის დროის სხვაობა ზუსტად 12 საათია. ლას-ვეგასში ჩხუბი საღამოს 8 საათზე რომ დაიწყო, ჩვენთან კვირა დილის 8 საათი იყო, მაგრამ ყველაფერი ისე უცბად ჩამთავრდა, რომ პირდაპირი ტელერეპორტაჟის მაყურებლები ხეირიანადაც ვერ გამოფხიზლდებოდნენ.

ამდენი ბაქი-ბუქისა და შექების მიუხედავად ბრიტანეთის ჯილა მაინც ერთობ დაზაფრული ჩანდა და პასიურობდა; არადა ქომაგები ერთხმად ურჩევდნენ, უკან-უკან არ დაიხიო, თორემ ტაისონი მიგბეგვავსო, მეოცნებე სპეციალისტები კი იმასაც აღნიშნავდნენ, თუ ბრძოლა ექვს რაუნდზე მეტს გასტანს, ნაღდ ლატარიად იქცევა, რაკიღა არც ერთი და არც მეორე უქნია ღმერთს ბოლომდე მოჩხუბრადო.

ბრუნო თავიდანვე ანერვიულდა და ერთი სული ჰქონდა, როგორმე გაეძლო გამხეცებული მეტოქისათვის. ბრიტანელს პირველსავე რაუნდში გაუსკდა მარცხენა თვალის ქუთუთო, მეორე რაუნდში კი მეტოქესთან ბღლარძუნისათვის ქულაც დაუქვითეს.

**ბრუნოს** მთავარი იარაღი ჯებია, მაგრამ მას ისე ეშინოდა მეტოქის პასუხისა, რომ პირდაპირ დარტყმა ერთხელ ძლივს გაბედა, რასაც ტაისონმა ისეთი მუშტი მოაყოლა, რომ ბრუნო გონგმალა იხსნა.

მესამე რაუნდი ახალი დაწყებული იყო, ბრუნომ ყოვლად გაუმართლებელი გადაწყვეტილება რომ მიიღო — დგომი ისე შეიცვალა, ვითომც ცაცია ყოფილიყო. ტაისონსაც ეს უნდოდა: უმალ ორი მარცხენა ჰუქი უთავაზა, მერე კი აპერქათიც. ბრუნო ბაგირზე გადაეკიდა. რეფერი მილზ ლეინმა ჩხუბი შეწყვიტა. ტაისონი მუხლებზე დაემხო, ჯერ რინგს ემთხვია, მერე კი ხელები ზე-აღაპყრო.

როგორც მიმომხილველებმა მოსწრებულად შენიშნეს, ამ ერთხელაც დამტკიცდა ცნობილი მაქსიმის სისწორე: ერთხელ მაგრად გალახული მოკრივე იმავე მეტოქისაგან მეორედ უარესად გაილახებაო. ძლეულმა ბრუნომ ქომაგებს მოუბოდიშა, იმედი ვერ გაგიმართლეთო. ბრიტანელი ჯენტლმენი შინ რომ ჩავა, თურმე ოჯახს მოეთათბირება და ალბათ რინგიდან საბოლოოდაც წავა. რაც შეეხება ექვსი წლის შემდეგ ხელმეორედ გაჩემპიონებულ ტაისონს, მან ამ შერკინებისთვის 30 მილიონი დოლარი ჩაიჯიბა და საზოგადოებასაც შეპირდა, ნებისმიერ მეტოქეს ხალისით შევებმებიო. არც კინგს დაუმალავს განზრახვა: ყველაფერს ვიღონებ, მძიმე წონაში მსოფლიოს ერთი და უცილო ჩემპიონი რომ ჰყავდესო.

ვალერი ჯიქია

**მძიმეწონოსანთა შერკინებამდე ლას-ვეგასის რინგზე სხვა ჩხუბებიც გაიმართა. ვბკ-ის საშუალო წონაში ჩემპიონი ქვინზი თეილორი IX რაუნდში დაანოკაუტა მეცხრე ნომერმა ქის ჰოლმსმა. ვბკ-ის ჩალის წონაში მექსიკელმა რიკარდო ლოპესმა VIII რაუნდში დასცა ფილიპინელი ედიტო ვილამორი.**

**ამავე უქმეებზე კიდევ სამი მნიშვნელოვანი კრივი გაიმართა: ორი — ბერლინში, ერთიც — გლაზგოში. პირველგან 46 წლის გაავსტრალიელებული ბრიტანელი ჯო ბაგნერი VI რაუნდში დაამარცხა ბერმუდელმა სქოთ ველჩმა, რის შემდეგაც ბაგნერმა ხელი აილო მსოფლიო ორგანიზაციის (ვბო) სარტყლისათვის ბრძოლაზე. იქვე გერმანელმა რალფ როკიჯიანიმ დაიცვა იმავე ვერსიის ტიტული, როცა IV რაუნდში გაისტუმრა ამერიკელი ჯეი შნაიდერი, გლაზგოში კი ვბო-ს ბუმბულისწონოსანმა ბრიტანელმა ჩემპიონმა, იემენელმა უფლისწულმა ნასიმ ჰამედმა 35 წამში მოუღო ბოლო ნიგერიელ მოცილე საიდ ლავალს.**

## წინა კვირის ჩოგბურთი

2[illegible] ფრანგი ს[illegible] შვიდი წელია, რაც პროფესიონალი ჩოგბურთელია, 9-ჯერ [illegible] ფინალში (მათ შორის აშშ-ის 1993 წლის ღია პირველობაზეც), მაგრამ კვირამდე შეჯიბრი ვერაფრით მოეგო. ახლა ნავსი გატყდა: სედრიკმა კოპენჰაგენის ტურნირის ფინალში 6:2, 7:6 აჯობა დანიელთა პირველ ჩოგან კენეტ კარლსონს.

**კვირის** უმთავრესი შეჯიბრი კალიფორნიის უდაბნოში — ინდიან-ველზში გაიმართა, სადაც ტურნირის დირექტორმა ჩარლი პასარელმა მსოფლიო ჩოგბურთის ნალებს მოუყარა თავი: ქალებმა ქრის ევერტის თასზე იასპარეზეს, ვაჟებმა კი ჩემპიონთა თასზე, მეორენაირად „ნიუზ-ვიქის თასად" რომაა ცნობილი.

ევერტის თასი მოიგო სარბიელზე დაბრუნებულმა შტეფი გრაფმა, ვინაც ფინალში 7:6, 7:6 დაამარცხა კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი, 2). ნახევარფინალში გრაფმა 2 საათსა და 45 წუთში 6:7, 7:6, 6:4 აჯობა ლინდზი დავენპორტს (აშშ), მორტინესმა კი 6:0, 6:4 სძლია კიმიკო დატე (იაპონია, 4). რაც შეეხება მონიკა სელეშს (აშშ), იგი იყო პირველი ნომერი, მაგრამ პასარელმა გრაფს ვაილდ-ქარდი რომ გაუგზავნა, სელეშმა ტრავმა მოიმიზეზა და აღარ ითამაშა.

**ვაჟთა** შეჯიბრს არავინ ჰკლებია. თომას მუსტერმა (ავსტრია, 1) ეს უკვე მეორედ წააგო პირველ ჩოგნად გახდომის შემდგომი პირველივე თამაში — ამჯერად რუმინელ ანდრეი ვოინეასთან, მაგრამ ავსტრიელის მარცხით ვერ იხეირეს ამერიკელებმა — პიტ სამპრასმა (2) და ანდრე აგასიმ (3): ორივე მეოთხედფინალში გავარდა. პიტს სამ ხელში მოუგო განუთესელმა პაულ ჰაარჰიუსმა (ჰოლანდია), ანდრეს ასევე სამ ხელში — მაიკლ ჩანგმა (აშშ, 5). ნახევარფინალში ჰაარჰიუსმა 6:2, 7:6 გააჭდო გორან ივანიშევიჩი (ხორვატია), ჩანგმა კი — მარსელო რიოსი (ჩილე) 7:6, 6:3. ფინალში, 43 გრადუს სიცხეში რომ გაიმართა, ენკვისტის (შვედეთი), სამპრასისა და ივანიშევიჩის მძლეველი 30 წლის ჰოლანდიელი, მსოფლიოს 68-ე ჩოგანი რომაა, ვეღარ გაუძალიანდა 24 წლის ჩანგს და 5:7, 1:6, 1:6 დამარცხდა. ჩანგმა ჯილდოდ 320 ათასი დოლარი მიითვალა და კლასიფიკაციის მეოთხე საფეხურიდან გააძევა ბორის ბეკერი (გერმანია), ვინც ინდიან-ველზში მეორე წრეში გავარდა. რაც შეეხება კლასიფიკაციის მოწინავე სამეულს, იგი წინა კვირის დარია: მუსტერი, სამპრასი და აგასი.

## შრი-ლანკა მსოფლიო ჩემპიონია

კვირას, ლაჰორში (პაკისტანი), თითოდღიანი კრიკეტის VI მსოფლიო თასის ფინალში შრი-ლანკამ 7 ბჭითა და 22 ბურთით დაამარცხა ავსტრალია, რომელმაც მანამდე, ხუთშაბათს, ჩანდიგარჰის (ინდოეთი) ნახევარფინალში 5 გარბენით აჯობა ვესტ-ინდოეთს. ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ სცნეს ლანკელი სანათ ჯაისურია, ფინალის საუკეთესო მოთამაშედ კი — მისი თანაგუნდელი არავინდა დასილვა.

# ესეც თუ სამართალია !?

### საბოლოო ცხრილი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ინგლისი | 4 | 3 | 0 | 1 | 79: 54 | 3- 2 | 6 |
| შოტლანდია | 4 | 3 | 0 | 1 | 60: 56 | 5- 3 | 6 |
| საფრანგეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 89: 57 | 10- 4 | 4 |
| უელსი | 4 | 1 | 0 | 3 | 62: 82 | 6- 9 | 2 |
| ირლანდია | 4 | 1 | 0 | 3 | 65:106 | 6-12 | 2 |

ბოლო ტურის წინ ჩემპიონობის შანსი სამ გუნდს — საფრანგეთს, ინგლისსა და შოტლანდიას რჩებოდა. საფრანგეთის პირველობა სხვებისაზე სარწმუნო იყო, მაგრამ ისე მოხდა, რომ მაჩანჩალა უელსმაც გამოიღო ხელი და სცენარი არია. საბოლოოდ გამარჯვებული გამოვიდა ინგლისი, რომელიც, ცოდვა გამხელილი სჯობს და, ყველაზე ნაკლებად იმსახურებდა პირველობას, რაკი ერთობ ანგარიშიანად, ულიმღამოდ და გონჯადაც კი თამაშობს. რაღა ბევრი გავაგრძელოთ: ინგლისმა ოთხ თამაშში სამად-სამი ლელო გაიტანა, რითაც ყველა სხვას ჩამორჩა. დღესდღეობით ევროპული რაგბის უბედურება სწორედ ისაა, რომ ინგლისი ჰყავს ჩემპიონად და მედროშედ, თორემ სხვაფრივ ხუთი ერის პირველობას რაც ვერჩით — ისეთი ტრადიცია მოუგროვებია, რომ თუმც დონით ახლოსაც ვერ მივა სამხრეთი ნახევარსფეროს არათუ ნაკრებების, არამედ პროვინციების ჩემპიონატთან, მთელი მსოფლიოს რაგბის ქომაგთა ცნობიერებაში მაინც განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

| ინგლისი | — | ირლანდია |
|---|---|---|
| ლ; გ, 6ს, ა (12) 28 | - | 15 (15) 4ს, ა |
| **უელსი** | — | **საფრანგეთი** |
| ლ, გ, 3ს (10) 16 | - | 15 (5) 2ლ, გ, ს |

წელს პირველობაზე სანიმუშო წესრიგი დამყარდა. თუ აქამდე თამაშები სულ სხვადასხვა დროს იწყებოდა — ხშირად ერთობ ორიგინალურადაც, მაგალითად 14.20-ზე ან 14.45-ზე, — წელს ყველა თამაში ადგილობრივი დროით ზუსტად სამ საათზე დაიწყო. ამას დაემატა ისიც, რომ ეს უკვე მეოთხედ თამაშდებოდა ჩემპიონის სარგო გარდამავალი ვერცხლის თასი, რის გამოც ქულათა ტოლობის შემთხვევაში ბურთების სხვაობასა და გატანილ ლელოთა სიმრავლეს გაითვალისწინებდნენ. ამ ორმა ფაქტორმა ბოლო ტური ერთობ ამაღელვებელ შოუდ აქცია: ქომაგები ორივე სტადიონიდან ელოდნენ ცნობებს და ანგარიშობდნენ, ჩემპიონი ვინ გახდებოდა, თუკი მეტი აღარაფერი შეიცვლებოდა.

შოტლანდია არ თამაშობდა და ვეღარაფერს შეცვლიდა, მაგრამ ისე შესრულდა ოთხი საათი, რომ სქოთები ხდებოდნენ ჩემპიონები — ვერც ინგლისი იგებდა და ვერც საფრანგეთი.

ინგლისი: ქეთი; სლაითჰოლმი, ქარლინგი (დეგლენვილი), გასქოთი, რ. ანდერვუდი; გრეისონი, დოუსონი; რაუნთრი, რეგანი, ლენარდი; ჯონსონი, არჩერი; ბ. ქლარქი, დალალიო (როდბერი, დროებით), რიჩარდსი

ირლანდია: მეისონი; გეგანი, ბელი, ფილდი (მაკქოლი), ვუდზი; დ. ჰამფრიზი, ჰოგანი; ფოფლველი, ა. ქლარქი, ვოლისი; ფულჩერი, დევიდსონი; ქოქრი, მაკბრაიდი, კოსტელო

მსაჯი ედ მარი (შოტლანდია)

უელსი: ჯ. თომასი; ი. ევანსი, ლ. დევისი, ნ. დევისი, გ. თომასი; ნ. ჯენქინსი, ჰაული; ლოუდერი, ჯ. ჰამფრიზი, ჯ. დევისი; ჰლუელინი, დ. ჯოუნზი; ე. ლუისი, გ. ჯოუნზი, ჰ. თეილორი

საფრანგეთი: სადურნი; ნტამაკი, გლასი, კომპონი, სანტანდრე; კასტენიედი, აკოსებერი (გალთიე); კალიფანო, გონზალესი, [illegible]ერი; ბენაზი, რუმა; კასტელი (იბანესი), კაბანი, დიპანი (ბრუზე)

მსაჯი ბრაიან სთერლინგი (ირლანდია)

თვიქნემში ინგლისი — ირლანდიის თამაში სულ ბოლომდე დამრტყმელთა შეჯიბრი იყო, თუმც კი ინგლისი ბურთის გათამაშებასაც ცდილობდა. რაც უნდა იყოს, მასპინძლებს უკანასკნელად, 59-ედ წინამძღოლობდა ვილ ქარლინგი, ვინაც კაპიტნობიდან გადადგომა ერთი კვირით ადრე გამოაცხადა. მის ხელში გუნდს ბევრისთვის მიუღწევია. ბიჭებს ქარლინგისათვის საკადრისი გაცილების მოწყობა სურდათ.

თითქოს სიმბოლური იყო, ვიდრე კაპიტანი მოედანზე ჰყავდა, ინგლისი აგებდა. ირლანდია ბურთს რომ მოიხელთებდა, მას მეტოქის ზურგში ფეხით გზავნიდა, დერეფანში კი დევიდსონი და ფულჩერი ხშირად ჯობდნენ ჯონსონსა და არჩერს. ჰოდა, პირველსავე წუთზე ჰამფრიზმა შორიდან არეკნით გახსნა ანგარიში, მე-6 წუთზე კი მეისონმა უფრო შორიდან საჯარიმო შეაგდო 0:6, რასაც მე-8 და მე-10 წუთებზე გრეისონის ორი გოლი მოყვა 6:6.

მე-16 წუთზე მეისონმა მესამე საჯარიმოც შეაგდო 6:9, კარდიფში კი, უელსი — საფრანგეთის შეხვედრაში, მასპინძელთა დამრტყმელ ნილ ჯენქინსს თუმც საჯარიმო გაუცუდდა, 9 ნომერმა ჰაულიმ სოლოლელო გაიტანა და ჯენქინსმაც გარდასახა 7:0; მე-19 წუთზე ფრანგებმა ბურთაობით 90 მეტრი გაიარეს და კასტენიედმა ლელო გაიტანა 7:5; 21-ე წუთზე მეისონმა კიდევ ერთი საჯარიმო შეაგდო 6:12, რასაც 28-ე და 30-ე წუთებზე კიდევ თითო საჯარიმო მოყვა და ანგარიშიც 9:15 გახდა — ჩემპიონი კი მაინც შოტლანდია ხდებოდა.

აქამდე ინგლისელთა კაპიტანს ბურთი ხელიდან უვარდებოდა, 34-ე წუთზე კი კოჭი ელრძო და მოედნიდან საკაცით გაასვენეს. ასე დრამატულად დასრულდა თანამდებობასთან ვილის გამოთხოვება, მის მაგივრად შესულმა ფილ დეგლენვილმა კი, ჯერემი გასქოთის თანაკლუბელი რომაა, თამაში ერთობ გაახალისა. ამასობაში ჯენქინსის საჯარიმოთი უელსი მეტად, 10:5 დაწინაურდა, ტაიმისათვის წამატებულ დროში კი გრეისონმა სხვაობა შეამცირა 12:15.

სქოთებმა ჩემპიონებად მე-60 წუთამდე გაძლეს. 45-ე წუთზე გრეისონმა მეხუთე გოლით ანგარიში გაათანაბრა, საათის თავზე 30 მეტრიდან არეკნი შეაგდო, 67-ე წუთზე — კვლავ საჯარიმო და ინგლისიც საფუძვლიანად 21:15 გაიჭრა წინ, პრიმიტიულად მოთამაშე ირლანდიას კი აღარ ეტყობოდა, რომ გარდატეხას შეძლებდა. ამასობაში კარდიფში ფრანგებმა ჯერ შეამცირეს სხვაობა, მაგრამ ჯენქინსმა ისევ შეაგდო და ანგარიში 13:8 გახადა.

ინგლისის ჩემპიონობა [illegible]ინალამ დასამარდა 75-ე წუთზე. ფრანგები [illegible]ძალნენ მეტოქის ლელოს. ბენაზის, გალ[illegible]ესა და კასტენიედის იერიშის შემდეგ მულატმა გარემარბმა ემილ ნტამაკმა იღბლად დაიჭირა გლასის მიერ უხეიროდ გადმოგდებული ბურთი, მიწიდან რომ ასხლტა, და ლელოთი ანგარიში გაათანაბრა, კასტენიედმა კი გარდასახვაც რომ შეაგდო 15:13, საფრანგეთს თავი ჩემპიონი ეგონა.

ინგლისი რომ იგებდა, აზრი აღარ ჰქონდა. მოთამაშეებმა კარდიფის ამბები არ იცოდნენ. ამასობაში უელსმაც შეუტია, ფრანგი შუამარბები მოლში თამაშგარე დარჩნენ და დაჯარიმდნენ. ჯენქინსმა კვლავ ყოჩაღად დაარტყა 16:15 და თავისიანები ზედიზედ მეორე „ვაითვოშს" — ოთხივე მეტოქესთან წაგებას გადაარჩინა.



ხუთი ერის პირველობა

ბოლო ტური. 16 მარტი

ჯენქინსმა ინგლისი ჩემპიონი გახადა. ინგლისელები ბოლოსდაბოლოს აბურთავდნენ. დერეფნიდანაც გონივრულად შეუტიეს და ბურთი მოკლე ფრთაზევე დაუბრუნეს გარემარბ სლაითჰოლმს, ვინაც ნაკრებში თავისი პირველი ლელო გაიტანა.

თვიქნემელი მაყურებელი ირლანდიის ძლევასა და მე-19 „სამმაგ გვირგვინზეც" (დანარჩენი სამი ბრიტანული გუნდის დამარცხებაზეც) ყაბულს იყო, კარდიფის მატჩის ანგარიში კი რომ შეიტყო, საშინელი ბღავილი მორთო — ინგლისი ჩემპიონი გამხდარიყო!

ქარლინგისთვის ფეხზე თაბაშირი დაედოთ. კაპიტანი ყავარჯნით აბობღდა სამეფო ლოჟაში, სადაც უფლისწულმა ედვარდმა საჩემპიონო თასი გადასცა. ისე, ცოტა უცნაური კი იყო თასის თვიქნემში მიტანა, რადგანაც კარდიფში ფრანგების გამარჯვება და გაჩემპიონება უფრო სარწმუნო ჩანდა. ჯენქინსს ის ბოლო საჯარიმო რომ ვერ შეეგდო, ფრანგებს, ნეტავ, როგორღა დააჯილდოვებდნენ?! თუმცა ისიც სათქმელია, რომ თასი შარშან ინგლისმა მოიგო და რაკი მისი შენარჩუნების შანსი ბრიტანელებს კიდევ რჩებოდათ, ამით ისარგებლეს და ჯილდო ჯერ ძალისძალად, მერე კი ალალადაც დაიტოვეს.

ზაზა ფხაკაძე

### ზე-12-ის ჩემპიონატი

15.III: კანბერა — ოქლენდი 40:34, ველინგთონი — ტრანსვაალი 32:16

16.III: დას. კონცხი — ოთაგო 25:52, ჩრდ. ტრანსვაალი — ახ. სამხ. უელსი 32:29

17.III: ნატალი — ვაიქათო 63:25, ქვინზლენდი — ქენთებრი 52:16

სამი ტურის შემდეგ: ოთაგო (ზელანდია) 15 ქულა; კანბერა (ავსტრალია) 14; ოქლენდი (ზელ) 12; ახ. სამხ. უელსი (ავს) 10; ნატალი (აფრ) 9; ჩრდ. ტრანსვაალი (აფრ) 8 (2 თამაშიდან); ...


# სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის სამშაბათობითა და პარასკეობით. ინდექსი 66 441

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მეძველია

რედაქტორი
თამაზ მიბრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საგამომცემლო ფირმა „მარდი".

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29